$$+ \sum_{1 \leq i < j < k \leq q} \beta_{ijkk} x_i x_j x_k^2 + \sum_{1 \leq i < j < k \leq q} \beta_{ijkl} x_i x_j x_k x_l, \quad (1.43)$$

სადაც $\beta_i = y_i^0$, $\beta_{ij} = 4y_{ij}^0 - 2y_i^0 - 2y_j^0$,

$$\gamma_{ij} = \frac{8}{3}(-y_i^0 + 2y_{iij}^0 - 2y_{ijj}^0 + y_j^0),$$

$$\delta_{ij} = \frac{8}{3}(-y_i^0 + 4y_{iij}^0 - 6y_{ij}^0 + 4y_{ijj}^0 - y_j^0),$$

$$\beta_{ijk} = 32(3y_{ijk}^0 - y_{ijk}^0 - y_{ijk}^0) + \frac{8}{3}(6y_i^0 - y_j^0 - y_k^0) - 16(y_{ij}^0 + y_{ik}^0) -$$

$$- \frac{16}{3}(5y_{iij}^0 + 5y_{iik}^0 - 3y_{ijj}^0 - 3y_{ikk}^0 - y_{ijjk}^0 - y_{jkkk}^0),$$

$$\beta_{ijjk} = 32(3y_{ijjk}^0 - y_{ijjk}^0 - y_{ijkk}^0) + \frac{8}{3}(6y_j^0 - y_i^0 - y_k^0) - 16(y_{ij}^0 + y_{jk}^0) -$$

$$- \frac{16}{3}(5y_{ijj}^0 + 5y_{ijjk}^0 - 3y_{iij}^0 - 3y_{jkkk}^0 - y_{iik}^0 - y_{ikk}^0),$$

$$\beta_{ijkk} = 32(3y_{ijkk}^0 - y_{ijjk}^0 - y_{ijjk}^0) + \frac{8}{3}(6y_k^0 - y_i^0 - y_j^0) -$$

$$- 16(y_{ik}^0 + y_{jk}^0) - \frac{16}{3}(5y_{ikk}^0 + 5y_{jkkk}^0 - 3y_{iik}^0 - 3y_{ijjk}^0 - y_{iij}^0 - y_{ijj}^0),$$

$$\beta_{ijkl} = 256y_{ijkl}^0 - 32(y_{iijk}^0 + y_{iijl}^0 + y_{iikl}^0 + y_{ijjk}^0 + y_{ijjl}^0 + y_{jjkl}^0 +$$

$$+ y_{ijkk}^0 + y_{ikk}^0 + y_{jkk}^0 + y_{ijll}^0 + y_{jkl}^0 + y_{ikll}^0) + \frac{32}{3}(y_{iij}^0 + y_{iik}^0 +$$

$$+ y_{iil}^0 + y_{ijj}^0 + y_{ijjk}^0 + y_{ijjl}^0 + y_{ikk}^0 + y_{jkkk}^0 + y_{kkkl}^0 + y_{iil}^0 + y_{jll}^0 + y_{kll}^0).$$

1.5. გეგმების ოპტიმალურობის კრიტერიუმები

გეგმების შეფასებისა და შედარებისათვის გამოიყენება ოპტიმალურობის მათემატიკური კრიტერიუმები, რომელთაც აკავშირებენ კოვარიაციული მატრიცის აღნაგობასთან ან ცდების ჩატარების ორგანიზაციასა და რიგთან.

გეგმის ოპტიმალურობის კრიტერიუმები და ექსპერიმენტის ორგანიზაციის ხერხები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად [7-15, 22].

პირველ ჯგუფში შედის რეგრესიის კოეფიციენტების შეფასების სიზუსტესთან დაკავშირებული კრიტერიუმები. როგორც ცნობილია, რეგრესიის კოეფიციენტების შეფასება ხორციელდება განტოლების მიხედვით, რომელიც გამოისახება მატრიცული ფორმით $B = (X^T X)^{-1} X^T Y$, სადაც X – არის შესაბამისი დაგეგმვის მატრიცა; Y – ცდების რეზულტატების ვექტორ-სვეტი; $X^T X$ – ფიშერის ინფორმაციული მატრიცა; $(X^T X)^{-1}$ – კოვარიაციული მატრიცა (ჩვეულებრივ აღინიშნება M^{-1}).

აქ უნდა აღინიშნოს გეგმების ისეთი თვისებები, როგორცაა ორთოგონალურობა, A-, D-, E- ოპტიმალურობა და სხვა. ამ კრიტერიუმებს შეიძლება მიეცეს გეომეტრიული ინტერპრეტაცია b_0, b_1, \dots, b_k კოეფიციენტების სივრცეში. ამ კოეფიციენტების შეფასებები, როგორც ცნობილია, შემთხვევითი სიდიდეებია და ამდენად აქვთ გაფანტვა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს შეფასებების გაზნევის ელიფსოიდით. ელიფსოიდის ორიენტირება, ფორმა და მოცულობა მთლიანად ხასიათდება ექსპერიმენტის შერჩეული გეგმით, უფრო ზუსტად საინფორმაციო $A = X^T X$ ან $A^{-1} = (X^T X)^{-1}$ კოვარიაციული მატრიცის აღნაგობით.

A - ოპტიმალურობა. A - ოპტიმალურია (ინგლისური გამოთქმის average variance, ე. ი. საშუალო დისპერსია საწყისი ასოს მიხედვით) გეგმები, რომელთაც შეესაბამება კოვარიაციული მატრიცის კვალის (ე. ი. დიაგონალური ელემენტების ჯამის) $T_r(A^{-1})$ მინიმალური მნიშვნელობა. ვინაიდან კოვარიაციული მატრიცის დიაგონალზე იმყოფება კოეფიციენტების

შეფასებების დისპერსიები, A - ოპტიმალურობა უზრუნველყოფს ამ შეფასებების დისპერსიების ჯამის მინიმუმს მათი კოვარიაციების გათვალისწინების გარეშე. სხვანაირად რომ ვთქვათ, A - ოპტიმალური გეგმები საშუალებას გვაძლევენ მივიღოთ უცნობი კოეფიციენტების შეფასებები მინიმალური საშუალო დისპერსიით. ამ დროს გაბნევის ელიფსოიდს გააჩნია ღერძების სიგრძის კვადრატების მინიმალური ჯამი.

D - ოპტიმალურობა. D - ოპტიმალურია (ინგლისური სიტყვა determinant-ის ანუ მსაზღვრელის საწყისი ასოს მიხედვით) გეგმები, რომელთაც შეესაბამება კოვარიაციული $(X^T X)^{-1}$ მატრიცის მინიმალური მსაზღვრელი ან საინფორმაციო $X^T X$ მატრიცის მაქსიმალური მსაზღვრელი. კოვარიაციული მატრიცის მსაზღვრელი გაბნევის ელიფსოიდის მოცულობის პროპორციულია. მაშასადამე, D - ოპტიმალური გეგმა მინიმუმამდე ამცირებს კოეფიციენტების შეფასებების გაბნევის ელიფსოიდის მოცულობას.

შიდილება შევადგინოთ გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ არა ყველა, არამედ კოეფიციენტების შეფასებათა მხოლოდ ნაწილის მინიმუმს. ასეთ გეგმებს წაკვეთილი D - ოპტიმალური გეგმები ეწოდება. ამ შემთხვევაში ხდება არა კოვარიაციული $(X^T X)^{-1}$ მატრიცის განსაზღვრა, არამედ ამ მატრიცის ჩვენთვის სასურველი პარამეტრების შესაბამისი ქვემატრიცის მსაზღვრელის მინიმიზაცია.

E - ოპტიმალურობა. E - ოპტიმალურია (ინგლისური გამოთქმის eigen value, ე. ი. საკუთარი მნიშვნელობა საწყისი ასოს მიხედვით) გეგმები, რომელთაც შეესაბამება კოვარიაციული $(X^T X)^{-1}$ მატრიცის უმცირესი მაქსიმალური საკუთარი მნიშვნელობა (მახასიათებელი რიცხვი) ანუ, რაც იგივეა, საინფორმაციო $X^T X$ მატრიცის უდიდესი მინიმალური საკუთარი რიცხვი. E - ოპტიმალური გეგმა მინიმუმამდე ამცირებს კოეფიციენტების შეფასებების გაბნევის ელიფსოიდის მაქსიმალური ღერძის სიგრძეს, ე. ი. არ აძლევს მას საშუალებას მიიღოს ძალიან გაწელილი ფორმა. სტატისტიკური თვალსაზრისით ეს კრიტერიუმები არ უშვებს, რომ კოეფიციენტების

ცალკეულ შეფასებებს ჰქონდეთ მეტად დიდი დისპერსიები და კოვარიაციები.

ორთოგონალურობა. გეგმა ორთოგონალურია, თუ მას შეესაბამება დიაგონალური კოვარიაციული ან საინფორმაციო მატრიცა. ორთოგონალური გეგმების შემთხვევაში კოეფიციენტების ყველა შეფასება არაკორელირებულია. რეგრესიის ყველა კოეფიციენტის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შეფასება საშუალებას გვაძლევს გავამარტივოთ ან გავართულოთ მოდელები კოეფიციენტების ნაწილის გამორიცხვით ან ახალი კოეფიციენტების დამატებით უკვე მოძებნილი კოეფიციენტების ხელახალი გაანგარიშების გარეშე. ამ კრიტერიუმის მიხედვით ოპტიმალური ექსპერიმენტის შედეგების დამუშავებისას გვჭირდება გამოთვლების მინიმალური რაოდენობა. გაბნევის ელიფსოიდი ისეა ორიენტირებული, რომ მისი მთავარი ღერძების მიმართულება ემთხვევა კოეფიციენტების სივრცეში საკოორდინატო ღერძების მიმართულებას.

მეორე ჯგუფის ოპტიმალურობის კრიტერიუმები განსაზღვრავენ აგებული მოდელით გამოძახილის მნიშვნელობათა წინასწარმეტყველების სიზუსტეს. ამ ჯგუფს მიეკუთვნება პირველ რიგში გეგმების ისეთი თვისებები, როგორცაა G- და Q- ოპტიმალურობა და სხვა.

G - ოპტიმალურობა. G - ოპტიმალურია (ინგლისური გამოთქმის general variance, ე. ი. საერთო დისპერსია) გეგმა უზრუნველყოფს ჩვენთვის Ω სასურველ არეში რეგრესიული განტოლებით წინასწარმეტყველების მაქსიმალურად შესაძლო დისპერსიის მინიმიზაციას, ე. ი.

$$\max_{\Omega} d(X, \xi) = \min_{\xi} \max_{\Omega} d(X, \xi),$$

სადაც $d(X, \xi) = f^T(X)A^{-1}(\xi)f(X)$. ამ კრიტერიუმის გამოყენებისას ექსპერიმენტატორი თავს იზღვევს წერტილებისაგან, რომელთაც გააჩნია გამოძახილის ფუნქციის შეფასების დაბალი სიზუსტე.

Q - ოპტიმალურობა. Q - ოპტიმალური გეგმით ხდება გარკვეულ Ω არეში წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის მინიმიზაცია

$$\int_{\Omega} d(X, \xi)dX = \min_{\Omega} \int_{\Omega} d(X, \xi)dX = \max_{\Omega} Q[A^{-1}(\xi)]$$


თავი 2. სიმპლექს-გისოსური გეგმები ორი, სამი, ოთხი და ხუთ კომპონენტის ნარევისათვის

2.1. პირველი, მეორე, არასრული, მესამე და მეოთხე რიგის არადეფორმირებადი სიმპლექს-გისოსური გეგმები ორი, სამი, ოთხი და ხუთ კომპონენტის ნარევისათვის

ჩვენ განვიხილეთ პირველი, მეორე, არასრული, მესამე და მეოთხე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმები ორი, სამი, ოთხი და ხუთ კომპონენტის ნარევისათვის.

ორი გამოსაკვლევი კომპონენტის პროპორციების ყველა შესაძლო კომბინაციას შეესაბამება წერტილები, რომლებიც მდებარეობენ კონცენტრაციული მონაკვეთის წახნაგზე, რომელიც ნაჩვენებია ნახ. 5-ზე, ანუ წერტილები რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას:


$$x_1 + x_2 = 1, \quad x_i \geq 0 \quad (i = 1, 2) \quad (2.1)$$



ნახ. 5. სიმპლექს კოორდინატა სისტემა მონაკვეთისათვის

სამი გამოსაკვლევი კომპონენტისათვის პროპორციების ყველა შესაძლო კომბინაციას შეესაბამება წერტილები, რომლებიც მდებარეობენ კონცენტრაციული სამკუთხედის საზღვრებზე და მის შიგნით, ნაჩვენებია ნახ. 6-ზე, ამასთან წერტილები აკმაყოფილებენ პირობას:


$$x_1 + x_2 + x_3 = 1, \quad x_i \geq 0 \quad (i = 1, 2, 3) \quad (2.2)$$



ნახ. 6. სიმპლექს (სამკუთხა) კოორდინატა სისტემა

ოთხი გამოსაკვლევი კომპონენტისათვის პროპორციების ყველა შესაძლო კომბინაციას შეესაბამება წერტილები, რომლებიც მდებარეობენ კონცენტრაციული პირამიდის საზღვრებზე და მის შიგნით, მოცემულია ნახ. 7-ზე, ამასთან წერტილები აკმაყოფილებენ პირობას:


$$x_1 + x_2 + x_3 + x_4 = 1, \quad x_i \geq 0 \quad (i = 1, 2, 3, 4) \quad (2.3)$$



ნახ. 7. სიმპლექს (პირამიდა) კოორდინატთა სისტემა

ხოლო ხუთი გამოსაკვლევი კომპონენტისათვის პროპორციების ყველა შესაძლო კომბინაციას შეესაბამება წერტილები, რომლებიც მდებარეობენ კონცენტრაციული ფიგურის საზღვრებზე და მის შიგნით, რომლის ზუსტად გამოსახვაც შეუძლებელია (ნახ. 8), მაგრამ აქაც აუცილებლად შენარჩუნებულია პირობა:


$$x_1 + x_2 + x_3 + x_4 + x_5 = 1, \quad x_i \geq 0 \quad (i = 1, 2, 3, 4, 5) \quad (2.4)$$



ნახ. 8. სიმპლექს კოორდინატთა სისტემის ილუსტრაცია ხუთი კომპონენტისათვის


პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმები ორი გამოსაკვლევი კომპონენტისათვის მოითხოვს დაკვირვებას

გეგმის შემდეგ წერტილებში, რომლებიც გრაფიკულად გამოსახულია ნახ. 9 ა, ბ, გ, დ-ზე (არადეფორმირებული გეგმები)




ნახ. 9. პირველი ა) მეორე ბ), მესამე გ) და მეოთხე გ) რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმები ორკომპონენტური ნარევისათვის

სამი გამოსაკვლევი კომპონენტისათვის საჭიროა დაკვირვება სამკუთხედის წერტილებში, რომელიც გრაფიკულად ნაჩვენებია ნახ. 10 ა), ბ), გ), დ) და ე).




ნახ. 10. პირველი ა) მეორე ბ), მესამე გ) და მეოთხე გ) რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმები სამკომპონენტური ნარევისათვის

ოთხი გამოსაკვლევი კომპონენტისათვის საჭიროა დაკვირვება პირამიდის წერტილებში, რომელიც გრაფიკულად ნაჩვენებია ნახ. 11 ა), ბ), გ), დ) და ე).



ნახ. 11. პირველი ა) მეორე ბ), მესამე გ) და მეოთხე გ) რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმები ოთხკომპონენტანი ნარევისათვის

ხუთი გამოსაკვლავი კომპონენტისათვის გეგმების გრაფიკული იმიტაცია გრაფიკულად ნაჩვენებია ნახ. 12-ზე.



ნახ. 12. პირველი ა) და მეორე ბ) რიგის გეგმების გრაფიკული იმიტაცია ხუთი საკვლავი კომპონენტის შემთხვევაში სიბრტყეზე


2.2. სიმპლექს-გისოსური გეგმების გამოკვლევა შეცდომების პირობებში

გეგმები კარგია თუ იდეალურად სრულდება კომპონენტების წილის განსაზღვრა, მაგრამ რეალურად ეს ასე ვერ ხერხდება. გეგმების რეალიზაციისას ნარევის ცალკეული კომპონენტების გაზომვა ხდება სხვადასხვა საზომი საშუალებებით (მაგალითად, სიზუსტის სხვადასხვა კლასის ანალიზური ან ტექნიკური სასწორი და. ა. შ), რომლებიც ჩვეულებრივ ხასიათდებიან განსაზღვრული ცდომილებებით, ამიტომ ზუსტი პროპორციების შენარჩუნება გეგმების შესაბამისად ვერ ხერხდება და გეგმები დეფორმირდება.


ამასთან, რაც უფრო დიდია საზომი საშუალებების ცდომილებები, მით უფრო მეტად დეფორმირდება გეგმები და შესაბამისად ოპტიმალურობის მახასიათებლები მით უფრო მეტად ირღვევა.

ზემოგანხილული სხვადასხვა რიგის სიმპლექს-გეგმების ოპტიმალურობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმების მნიშვნელობების ცვლილებაზე საზომი საშუალებების ცდომილებების გავლენის გამოსაკვლევად მოვახდინეთ ცდომილებების იმიტაცია და არადეფორმირებული გეგმების ყოველი წერტილის გარშემო მივიღეთ წერტილების ღრუბლები.


მაგალითად, ცდომილებების იმიტაციის რეზულტატში დეფორმირებული გეგმების მიღებული წერტილები ორი, სამი, ოთხი და ხუთი ცვლადისათვის ნაჩვენებია ნახ.13, ნახ. 14, ნახ. 15 და ნახ. 16-ზე.




ნახ. 13. ორკომპონენტური ნარევისათვის პირველი ა), მეორე ბ), მესამე გ) და მეოთხე დ) რიგის დეფორმირებული გეგმები



ნახ. 14. სამკომპონენტანი წარვესათვის პირველი ა), მეორე ბ), არასრული კუბური გ), მესამე დ) და მეოთხე ე) რიგის დეფორმირებული გეგმები



ნახ. 15. ოთხკომპონენტანი წარვესათვის პირველი ა), მეორე ბ), არასრული კუბური გ), მესამე დ) და მეოთხე ე) რიგის დეფორმირებული გეგმები




ნახ. 16. ხუთი საკვლევი კომპონენტის შემთხვევაში პირველი და მეორე რიგის გეგმებისათვის დეფორმირებული გეგმის გრაფიკული იმიტაცია სიბრტყეზე ჩვენი ამოცანაა შევისწავლოთ საზომი მოწყობილობების ცდომილებათა ზეგავლენა გეგმების ძირითად თვისებებზე, როგორცაა A-, D-, E-, ორთოგონალურობა, Q- და G- ოპტიმალურობა, მოვძებნოთ გაუარესების ხარისხი თითოეული ამ კრიტერიუმის მიხედვით. ამისათვის საჭიროა შეიქმნას სპეციალური იმიტაციური პროგრამა, რომელიც მოგვცემს ამის საშუალებას.

ასეთი მაიმუტირებელი დასაშვები ცდომილებების შესაბამისი წერტილების მიღება ხდება შემდეგნაირად: დამახინჯება გეგმების სხვადასხვა წერტილებისათვის, რომელიც ხდება გენერირებული შემთხვევითი რიცხვების ზედდების გზით, ხორციელდება სიმპლექს-კოორდინატთა სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მაგალითად, წერტილები, რომლებიც მდებარეობენ მონაკვეთის ბოლოებში $((1,0); (0,1))$ (ნახ. 17) შესაძლოა დეფორმირდნენ მონაკვეთის შიდა მხარეს; ხოლო წერტილებისათვის, რომლებიც მდებარეობენ მონაკვეთის შიგნით, შემთხვევით განაწილებული წერტილების ზედდება შიდა წერტილების კოორდინატებზე შესაძლოა მოხდეს ამ წერტილებიდან ორივე მხარეს.

სამი ცვლადის სიმპლექს-გეგმებში კი წერტილების კოორდინატების მისაღებად აუცილებელია გათვალისწინებული იყოს, რომ წერტილები არ შეიძლება გამოვიდნენ კონცენტრაციული სამკუთხედის საზღვრებს გარეთ.

განვიხილოთ უფრო დეტალურად სამი ცვლადის სიმპლექს წრფივ გეგმაში კოორდინატების მიღების ალგორითმის ფრაგმენტი (ნახ. 18), ხოლო ერთი წერტილის დამახინჯება (ნახ. 19).



ნახ. 17. სიმპლექს-გეგმაში ბოლო და შიდა წერტილების წარმოქმნის ალგორითმი ორი ცვლადის შემთხვევაში


შესწავლის შედეგად, MATLAB-ში შექმნილი პროგრამის მიხედვით მივიღეთ შედეგები.

თითოეული გამოსაკვლევი ცდომილებისათვის მიმართვა შემთხვევით რიცხვებთან ხდებოდა მრავალჯერ, გეგმის თითოეული წერტილის გარშემო მიიღებოდა წერტილების ღრუბელი და თითოეული ცდომილებისათვის მიღებული იქნა მრავალჯერადი შემთხვევითი სახის გენერირებული გეგმა. გეგმის წერტილების მისაღებად გამოიყენებოდა ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი რიცხვები.


ამ რიცხვების ფორმირება განხორციელდა სტანდარტული პროგრამის საშუალებით ε შემთხვევითი რიცხვების გენერირებით, რომელთაც გააჩნიათ ნულოვანი საშუალო არითმეტიკული და $\sigma=0.33$ საშუალო კვადრატული გადახრა. მათი 100-ზე გაყოფით მიიღებოდა 1%-იანი

ცდომილებების ექვივალენტი, ხოლო საზომი საშუალებების სხვადასხვა ცდომილებების იმიტაციისათვის 1%-იანი ექვივალენტი მრავლდებოდა ψ -ზე: $\xi = \psi \frac{\varepsilon}{100}$.

თითოეული გეგმისათვის განსაზღვრული იქნა ოპტიმალურობის კრიტერიუმების შესაბამისი მნიშვნელობები, არჩეული იქნა მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, რომელთა საშუალებითაც აგებულია შეცდომების დერეფანი. ასევე განსაზღვრული იქნა მიღებული მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკული – დერეფანის საშუალო ხაზი და საშუალო კვადრატული გადახრა.



ნახ. 18. დეფორმირებული პირველი რიგის სამკომპონენტთან სიმპლექს-გეგმაში წერტილების წარმოქმნის ალგორითმის ფრაგმენტი



ნახ. 19. ღრუბელში შემავალი წერტილების კოორდინატების მიღება სამკომპონენტთან სიმპლექს-გეგმაში

თავი 3. სამკომპონენტური გეგმების გამოკვლევა

3.1. სამკომპონენტური პირველი რიგის გეგმა

სამკომპონენტური ნარევის პირველი რიგის გეგმას გააჩნია შემდეგი სახე:

$$X = \begin{bmatrix} \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 & \tilde{x}_3 \\ 1 & 0 & 1 \\ 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 1 \end{bmatrix} \quad (3.1)$$

შესაბამისი რეგრესიის განტოლება:

$$\hat{y} = b_1 x_1 + b_2 x_2 + b_3 x_3 \quad (3.2)$$

3.1.1. რეგრესიული განტოლების სიზუსტის შეფასებასთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა სამკომპონენტური პირველი რიგის გეგმისათვის

სიმპლექს-გეგმების თვისებების უმრავლესობა, როგორცაა A-, D-, E-ოპტიმალურობა და ორთოგონალურობა დაკავშირებული არიან რეგრესიის კოეფიციენტების შეფასების სიზუსტით, რომლებიც განისაზღვრება მატრიცულ ფორმაში ჩაწერილი შემდეგი გამოსახულებით


$$B = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1} \tilde{X}^T Y \quad (3.3)$$

სადაც, $\tilde{X}^T \tilde{X}$ წარმოადგენს ფიშერის ინფორმაციულ მატრიცას, $(\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$ – კოვარიაციულ მატრიცას (ჩვეულებრივ აღინიშნება M^{-1}), ხოლო \tilde{X} – დაგეგმარების მატრიცას, რომელიც მიიღება საკვლევი სიმეტრიული გეგმის გაფართოებით შესაბამისი სვეტებით, შესაბამისად იცვლება გეგმების დაგეგმარების და თვისებების მატრიცაც, Y – ცდების რეზულტატების ვექტორ-სვეტი.

მიმართვა ხორციელდებოდა შემთხვევით რიცხვებთან ასჯერ. ასი მიღებული მნიშვნელობიდან აირჩეოდა მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, რის მიხედვითაც იგებოდა შეცდომების დერეფანი. იმის გამო, რომ რიცხვების გენერირება ყოველ ჯერზე ხდებოდა შემთხვევითი სახით, ზოგიერთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში, ცდომილების ზოგიერთი მნიშვნელობისათვის შეინიშნება მცირე "ამოვარდნები", თუმცა ეს გავლენას

ვერ ახდენს ცდომილებების გაზრდით გეგმის თვისებების გაუარესების საერთო ტენდენციაზე.

A-ოპტიმალურობა. ნახ. 20-ზე ნაჩვენებია შეცდომების დერეფნის გრაფიკული ილუსტრაცია, რომელიც მიიღება სამკომპონენტანი პირველი რიგის სიმპლექს-გისოსურ გეგმასთან მაქსიმალურად მიახლოებული სიმეტრიული კოვარიაციული მატრიცის $M^{-1} = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$ კვალის კვლევასა. როგორც ნახაზიდან ჩანს, ცდომილების გაზრდით შეცდომების დერეფანი იზრდება.



ნახ. 20. სამკომპონენტანი პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის A-ოპტიმალურობა

1-ელ ცხრილში წარმოდგენილია ზოგიერთი საკვლევი ცდომილებისათვის კოვარიაციული მატრიცის კვალის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, რომლებიც მიღებულია სამკომპონენტანი სიმპლექს-გისოსური გეგმის პირველი რიგის A-ოპტიმალურობაზე საზომი საშუალებების ცდომილებების გავლენის კვლევის შედეგად, ასევე საშუალო არითმეტიკული მიღებული მნიშვნელობებიდან – დერეფნის საშუალო ხაზი და გაბნევა – საშუალო კვადრატული გადახრა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ განსახილველ დიაპაზონში ცდომილებებისათვის 0.01-0.09%, A-ოპტიმალურობის თვისება უარესდება 0.11%-ით, მეორე დიაპაზონში, როცა ცდომილებები აღწევს 0.1-0.9%-ს,

უარესდება 1.08%-ით, ხოლო მესამე დიაპაზონში 1%-5%-იანი ცდომილებისას უარესდება 7.05%-ით.

ცხრილი 1.


სამკომპონენტური პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის კოვარიაციული მატრიცის კვალის ცვლილება სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	3.00000187	3.00085379	3.00040238	0.00025079
0.03	3.00001970	3.00278739	3.00141154	0.00081331
0.05	3.00002871	3.00445636	3.00205884	0.00122638
0.07	3.00007332	3.00604739	3.00272061	0.00159788
0.09	3.00014015	3.00798704	3.00372313	0.00228430
0.1	3.00012254	3.00870184	3.00450813	0.00234957
0.3	3.00009063	3.02582410	3.01273535	0.00769968
0.5	3.00016859	3.04570910	3.02329838	0.01262972
0.7	3.00017406	3.06306733	3.02942878	0.01569615
0.9	3.00046380	3.08165297	3.03708521	0.02306838
1.0	3.00122596	3.08967487	3.04600640	0.02422471
2.0	3.00031747	3.19349749	3.09364289	0.05261292
3.0	3.00090656	3.28321708	3.13586033	0.08436213
4.0	3.00479484	3.42916312	3.17615787	0.10705440
5.0	3.00168694	3.54102792	3.26075742	0.14852157
10	3.01231512	4.26920098	3.57894114	0.34237058

D-ოპტიმალურობა. D-ოპტიმალურთან მიახლოებული პირველი რიგის სამცვლადიანი სიმპლექს-გისოსური გეგმის კვლევისას გეგმის დამახინჯება მიიღწეოდა თითოეულ მის ელემენტზე შემთხვევითი სიდიდის დამატებით. დამახინჯება შეესაბამებოდა 0.01-0.09%-ს (პირველ დიაპაზონში), 0.1-0.9%-ს (მეორე დიაპაზონში) და 1-10%-ს (მესამე დიაპაზონში).

ნახ. 21-ზე წარმოდგენილია $M^{-1} = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$ შეცდომების მატრიცის მსაზღვრელის ცვლილებების გრაფიკული შედეგები, რომლებიც მიიღება სხვადასხვა სიდიდის k ცდომილებების ზედდებით სამი ცვლადის მქონე პირველი რიგის სიმპლექს-გისოსურ გეგმებთან მიახლოებულ გეგმებზე.

მე-2 ცხრილში მოცემულია საშუალო არითმეტიკული – დერეფნის საშუალო ხაზი და გაბნევა – საშუალო კვადრატული გადახრა, ასევე მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები.



ნახ. 21. სამკომპონენტანი პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის D-ოპტიმალურობა

ცხრილი 2.


სამკომპონენტანი პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის კოვარიაციული მატრიცის მინიმალური მსაზღვრელის ცვლილება სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	1.00001225	1.00086779	1.00044997	0.00023430
0.03	1.00000906	1.00256120	1.00126612	0.00076365
0.05	1.00001686	1.00450482	1.00230688	0.00124517
0.07	1.00001741	1.00617688	1.00290665	0.00153921
0.09	1.00004637	1.00795001	1.00364722	0.00225240
0.1	1.00012254	1.00872048	1.00451425	0.00235451
0.3	1.00009063	1.02598611	1.01278589	0.00774339
0.5	1.00016860	1.04621553	1.02346246	0.01276042
0.7	1.00017407	1.06398912	1.02968863	0.01591400
0.9	1.00046384	1.08320506	1.03753429	0.02348178
1.0	1.00122629	1.09165342	1.04664583	0.02474683
2.0	1.00031750	1.20251805	1.09635956	0.05486109
3.0	1.00090676	1.30262168	1.14164545	0.08951628
4.0	1.00480019	1.47304225	1.18607520	0.11707903
5.0	1.00168757	1.61119586	1.28156208	0.16616283
10	1.01234891	2.66119554	1.68387076	0.44034742

ცხრილის მონაცემების შესაბამისად D-ოპტიმალურობა ცდომილებების ზედდების შედეგად გაუარესდა. 0.01%-დან 0.09%-მდე ცდომილების პირობებში უარესდება 0.32%-ით, 0.1%-დან 0.9%-მდე ოპტიმალურობა უარესდება 3.29%-ით, ხოლო 1%-5%-იანი ზრდით ეს მაჩვენებელი იზრდება 22.44%-მდე.

E-ოპტიმალურობა. სამკომპონენტანი პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმების E-ოპტიმალურობაზე ცდომილებების გავლენის კვლევისას შეცდომების დერეფანი მიიღებოდა ყველა საკვლევი ცდომილებისათვის ასჯერ შემთხვევითი სახით გენერირებული გეგმიდან თითოეულისათვის უმცირესი მაქსიმალური საკუთარი რიცხვიდან λ (მახასიათებელი რიცხვი) მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობების ამორჩევით.

მიღებული შედეგების გრაფიკული გამოსახულება წარმოდგენილია ნახ. 22-ზე, ხოლო მე-3 ცხრილში მოცემულია მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ უმცირესი მაქსიმალური საკუთარი რიცხვის (λ_{max}) ცვლილებას ცდომილებების განსახილველ დიაპაზონში სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას.



ნახ. 22. სამკომპონენტანი პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის E-ოპტიმალურობა

როგორც გვიჩვენა მონაცემების ანალიზმა, უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის გაბნევა ცდომილებების გაზრდის შედეგად შესაბამისად იზრდება. ასე მაგალითად, თუ 0.01%–0.9%-იანი ცდომილების ზედდებისას იგი წარმოადგენს 0.19%, 0.1%–0.9% ცდომილების ზედდებისას უკვე აღწევს 2.27%, ხოლო მესამე დიაპაზონში 1%–5%-იანი ცდომილების დროს უკვე უარესდება 12.70%-ით.

სამკომპონენტური პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის ცვლილება სხვადასხვა ცდომილების ზედღებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	1.00000651	1.00051664	1.00024316	0.00015199
0.03	1.00001079	1.00166230	1.00084006	0.00048359
0.05	1.00001976	1.00272298	1.00122937	0.00073179
0.07	1.00004846	1.00339292	1.00160974	0.00094336
0.09	1.00008146	1.00473491	1.00218694	0.00133010
0.1	1.00011404	1.00532334	1.00265397	0.00150846
0.3	1.00014982	1.01692874	1.00793180	0.00410335
0.5	1.00013734	1.02615389	1.01373891	0.00712463
0.7	1.00159625	1.03726193	1.01725468	0.01011755
0.9	1.00122336	1.04898657	1.02538607	0.01369871
1.0	1.00067260	1.05296565	1.02696488	0.01385176
2.0	1.00016250	1.11247141	1.05510176	0.03128654
3.0	1.00054308	1.17814118	1.08419488	0.05275111
4.0	1.00294093	1.25639136	1.10501073	0.06405698
5.0	1.00108394	1.33425501	1.15741395	0.09045196
10	1.00081341	1.00081341	1.35023529	0.22267321

3.1.2. აგებული მოდელის საშუალებით გამოძახილის მნიშვნელობის წინასწარმეტყველების სიზუსტესთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა სამკომპონენტური პირველი რიგის გეგმისათვის

ექსპერიმენტის დაგეგმვის აქტუალურ საკითხებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს გეგმების თვისებები, რომლებიც დამოკიდებულია გამოძახილის მნიშვნელობის ზუსტ წინასწარმეტყველებასთან, შეძლებისდაგვარად მცირე შეცდომების მქონე მოდელების აგების საშუალებით.

ასეთი გეგმების რიცხვს მიეკუთვნება G- ოპტიმალურობა, რომელიც უზრუნველყოფს წინასწარმეტყველების მაქსიმალურად შესაძლო დისპერსიის მინიმიზაციას კვლევის განსაზღვრულ არეში და Q- ოპტიმალურობა, რომლის საშუალებითაც ხდება წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის მინიმიზაცია.

რამდენადაც ასეთი გეგმების განსაზღვრას გააჩნია დიდი მნიშვნელობა პროგნოზირების ამოცანის გადაწყვეტისას, იმდენად განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ასეთი გეგმების თვისებების გაუარესების ხარისხის კვლევა ექსპერიმენტის შეცდომების პირობებში.

მოცემულ პუნქტში განხილულია პირველი რიგის სამკომპონენტური სიმპლექს-გისოსური გეგმის G- და Q- ოპტიმალურობის თვისებებზე შეცდომების გავლენა.

ასეთი გეგმებისათვის აგებულ მოდელს გააჩნია (3.2) სახე. ზოგად შემთხვევაში წინასწარმეტყველების მნიშვნელობის დისპერსია

$$\sigma^2\{\hat{y}\} = \sigma^2\{y\}N^{-1}f^T(\mathbf{x})\mathbf{A}^{-1}f(\mathbf{x}) = \sigma^2\{y\}N^{-1}d(\mathbf{x}), \quad (3.4)$$

სადაც
$$d(\mathbf{x}) = f^T(\mathbf{x})\mathbf{A}^{-1}f(\mathbf{x}), \quad (3.5)$$

$$\mathbf{A} = N^{-1}(\tilde{\mathbf{X}}^T\tilde{\mathbf{X}}),$$

$$\mathbf{f}^T(\mathbf{x}) = \|\tilde{x}_1, \tilde{x}_2, \tilde{x}_3\|$$

ჩვენს მიერ განსახილველი პოლინომიალური პირველი რიგის რეგრესია სამკომპონენტური გეგმისათვის.


ექსპერიმენტის შეცდომების პირობებში სამკომპონენტური პირველი რიგის გეგმისათვის ზემოხსენებული თვისების გამოსაკვლევად ხორციელდებოდა საზომი საშუალებების ცდომილებების გავლენის იმიტაცია გეგმის წერტილების კოორდინატებზე შემთხვევითი რიცხვების ზედდებით, რომლებიც განაწილებული არიან ნორმალური კანონით. ამ რიცხვების ფორმირება განხორციელდა სტანდარტული პროგრამის საშუალებით ε შემთხვევითი რიცხვების გენერირებით, რომელთაც გააჩნიათ ნულოვანი საშუალო არითმეტიკული და $\sigma=0.33$ საშუალო კვადრატული გადახრა. მათი 100-ზე გაყოფით მიიღებოდა 1%-იანი ცდომილებების ექვივალენტი, ხოლო საზომი საშუალებების სხვადასხვა ცდომილებების იმიტაციისათვის 1%-იანი ექვივალენტი მრავლდებოდა ψ -

ზე:
$$\xi = \psi \frac{\varepsilon}{100}.$$

ასეთი სახით გენერირებული გეგმისათვის განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი კრიტერიუმების მნიშვნელობების შესაბამისი სიმრავლე კვლევის იმ არეში, რომელიც განსაზღვრულია თვით სიმპლექსით.

სივრცის ამ არის სკანირების შედეგად თანმიმდევრულად იქნა მიღებული წერტილების კოორდინატები ბადის თითოეულ „კვანძში“ (ნახ. 23).

ამ წერტილების კოორდინატების (3.4)-ში და (3.5)-ში ჩასმის გზით განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი სივრცის მოცემულ წერტილებში გამოძახილის წინასწარმეტყველების დისპერსია. ბადის Δl მცირე ბიჯის დროს მიღებული იქნა მონაცემების მასივი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა გეგმების გამოსაკვლევი თვისებების შესახებ მსჯელობა. საზომი საშუალებების ცდომილების არსებობის გამო იცვლებოდა განსახილველი გეგმის კოორდინატები, რამაც გამოიწვია თავის მხრივ კოვარიაციული მატრიცის ცვლილება $M^{-1} = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$, სადაც \tilde{X} – დაგეგმვის მატრიცაა.



ნახ. 23. სამკომპონენტანი პირველი რიგის გეგმის არის სკანირების პრინციპი


თითოეული კრიტერიუმისათვის ცდომილების სხვადასხვა მნიშვნელობის შემთხვევაში გამოყოფილი იქნა მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, რომლებიც ქმნიან დერეფანს. ყველა გამოკვლევა ტარდებოდა საზომი საშუალებების 0.01%-დან 10%-მდე ცდომილებისათვის.

ამრიგად, სამკომპონენტანი შეფუძეს გეგმის პირველი რიგისათვის G-ოპტიმალურობის კვლევისას გეგმის დამახინჯება მიღწეული იქნა თითოეულ მის ელემენტზე შემთხვევითი სიდიდის დამატებით, შესა-

ბამისად 0.01-0.09%-იანი (პირველ დიაპაზონში), 0.1-0.9%-იანი (მეორე დიაპაზონში) და 1-10%-იანი (მესამე დიაპაზონში) ცდომილებით.

შემთხვევით რიცხვებთან მიმართვა ხორციელდებოდა ასჯერადად. ასჯერ მიღებული მნიშვნელობებიდან ხდებოდა მინიმალურისა და მაქსიმალურის ამორჩევა, რის შედეგადაც აგებული იქნა შეცდომების დერეფანი. განვიხილოთ ცალ-ცალკე ამ ჯგუფის თვისებები – G- და Q-ოპტიმალურობა.

G-ოპტიმალურობა. G-ოპტიმალურად მიიჩნევა (3.1) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ საკვლევ სივრცეში წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის (d_{max}) მინიმიზაციას. ნახ. 24-ზე წარმოდგენილია მაქსიმალური დისპერსიის ცვლილების გრაფიკული რეზულტატი, რომელიც მიღებულია სხვადასხვა სიდიდის k ცდომილების ზედდებით სამკომპონენტური სიმპლექს-გისოსური გეგმის პირველი რიგისათვის.



ნახ. 24. სამკომპონენტური პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის G-ოპტიმალურობა ცდომილების არსებობისას

განსახილველი გეგმების G-ოპტიმალურობის თვისებაზე სხვადასხვა ცდომილების გავლენის კვლევისას მიღებული რიცხვითი მნიშვნელობები მოყვანილია მე-4 ცხრილში, სადაც წარმოდგენილია წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, ამ მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკული და ასევე საშუალო კვადრატული გადახრა ან გაზნევა.

მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ცდომილების გაზრდისას 0.01%-0.09%-მდე G-ოპტიმალურობის თვისება განსახილველი სამკომპონენტური შეფუთვების გეგმის პირველი რიგისათვის გაუარესდა 0.11%-ით, ცდომილებების გაზრდისას 0.1%-0.9%-მდე უარესდებოდა 1.09%-ით, ხოლო ცდომილებების გაზრდით 1%-დან 5%-მდე საკვლევი თვისება უარესდებოდა 7.13%-ით.

ცხრილი 4.

წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმუმის ცვლილება სამკომპონენტური შეფუთვების გეგმის პირველი რიგისათვის სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	3.00001225	3.00086762	3.00044992	0.00023425
0.03	3.00000906	3.00255978	3.00126570	0.00076328
0.05	3.00001686	3.00450045	3.00230548	0.00124405
0.07	3.00001741	3.00616950	3.00290446	0.00153740
0.09	3.00004637	3.00793764	3.00364341	0.00224886
0.1	3.00012254	3.00870334	3.00450881	0.00235004
0.3	3.00009063	3.02584144	3.01274313	0.00770613
0.5	3.00016859	3.04576492	3.02331933	0.01264519
0.7	3.00017406	3.06321850	3.02946302	0.01572586
0.9	3.00046381	3.08189952	3.03713755	0.02310944
1.0	3.00122603	3.08983402	3.04607720	0.02427445
2.0	3.00031747	3.19453640	3.09396551	0.05287016
3.0	3.00090659	3.28529034	3.13674297	0.08511857
4.0	3.00479572	3.43454999	3.17735346	0.10820708
5.0	3.00168707	3.54909281	3.26337390	0.15059667
10	3.01232187	4.30031763	3.59010252	0.35169164

Q-ოპტიმალურობა. Q-ოპტიმალურად მიიჩნევა (3.1) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ კვლევის გარკვეულ არეში წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის მინიმუმისა.

გამოსაკვლევი გეგმების Q-ოპტიმალურობის თვისებაზე ცდომილების გავლენის შესწავლის შედეგად მიღებული რიცხვითი მნიშვნელობები მოყვანილია მე-5 ცხრილში.

როგორც მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, ცდომილებების ცვლილებისას 0.01%-0.09%-იან შუალედში Q-ოპტიმალურობა უარესდ-

ბოდა 0.06%-ით, 0.1%-0.9%-იან შუალედში უარესდებოდა 0.64%-ით, ხოლო 1%-5%-იან შუალედისათვის გაუარესება შეადგენდა 4.21%-ს.

ცხრილი 5.

წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის ცვლილება სამკომპონენტური შეფუთვების გეგმის პირველი რიგისათვის სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	1.65000398	1.65028197	1.65014622	0.00007613
0.03	1.65000295	1.65083188	1.65041134	0.00024805
0.05	1.65000548	1.65146250	1.65074924	0.00040428
0.07	1.65000566	1.65200477	1.65094388	0.00049959
0.09	1.65001507	1.65257921	1.65118400	0.00073079
0.1	1.65003983	1.65282816	1.65146522	0.00076365
0.3	1.65002945	1.65839387	1.65414003	0.00250322
0.5	1.65005479	1.66485890	1.65757441	0.00410621
0.7	1.65005657	1.67051239	1.65956818	0.00510463
0.9	1.65015074	1.67656136	1.66205840	0.00750091
1.0	1.65039845	1.67915098	1.66495957	0.00787720
2.0	1.65010318	1.71295218	1.68046646	0.01712263
3.0	1.65029463	1.74216237	1.69426768	0.02750974
4.0	1.65155842	1.78982957	1.70737535	0.03489252
5.0	1.65054827	1.82630976	1.73502840	0.04845968
10	1.65400333	2.06353202	1.83916414	0.11191927

3.2. სამკომპონენტური მეორე რიგის გეგმა

სამკომპონენტური ნარევის მეორე რიგის გეგმას გააჩნია შემდეგი სახე:

$$\mathbf{X} = \begin{bmatrix} \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 & \tilde{x}_3 \\ 1 & 0 & 1 \\ 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 1 \\ 1/2 & 1/2 & 0 \\ 1/2 & 0 & 1/2 \\ 0 & 1/2 & 1/2 \end{bmatrix} \quad (3.6)$$


შესაბამისი რეგრესიის განტოლება:

$$\hat{y} = b_1 x_1 + b_2 x_2 + b_3 x_3 + b_{12} x_1 x_2 + b_{13} x_1 x_3 + b_{23} x_2 x_3 \quad (3.7)$$

3.2.1. რეგრესიული განტოლების სიზუსტის შეფასებასთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა სამკომპონენტური მეორე რიგის გეგმისათვის

A-ოპტიმალურობა. ნახ. 25-ზე ნაჩვენებია შეცდომების დერეფნის გრაფიკული ილუსტრაცია, რომელიც მიიღებოდა სამკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსურ გეგმასთან მაქსიმალურად მიახლოებული სიმეტრიული კოვარიაციული მატრიცის $M^{-1} = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$ კვალის კვლევისას.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საზომი საშუალების 0.01–0.09%-მდე ცდომილების დროს A-ოპტიმალურობა უარესდება 0.41%-ით, მეორე დიაპაზონში ცდომილების 0.1%-დან 0.9%-მდე გაზრდა იწვევს 4.26%-იან ცვლილებას, ხოლო მესამე დიაპაზონში 1%–5%-მდე კი 26.18%-ით გაუარესებას.




ნახ. 25. სამკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის A-ოპტიმალურობა

D-ოპტიმალურობა. ნახ. 26-ზე ილუსტრირებულია გრაფიკული შედეგები, რომლებიც მიღებულია სამი ცვლადის მქონე მეორე რიგის სიმპლექს-გისოსურ გეგმებთან მიახლოებული გეგმების კოვარიაციული მატრიცის მსაზღვრელზე სხვადასხვა სიდიდის k ცდომილებების გავლენის კვლევის შედეგად.

განსახილველი გეგმის D-ოპტიმალურობის თვისებაზე ცდომილების გავლენის კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა,

რომ განსახილველი გეგმის D-ოპტიმალურობის თვისება ცდომილებების ზედდებით უარესდება.



ნახ. 26. სამკომპონენტანი მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის D-ოპტიმალურობა

მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საზომი საშუალებების 0.01%-დან 0.09%-მდე ცდომილების პირობებში D-ოპტიმალურობა უარესდება 1.71%-ით, 0.1%-დან 0.9%-მდე ცდომილების პირობებში უარესდება 15.91%-ით, ცდომილების შემდგომი გაზრდით მკვეთრად იზრდება აგრეთვე გაბნევა მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის, ასე მაგალითად უკვე 5%-იანი ცდომილებისას ის შეადგენს $0.5013 \cdot 10^4$.


E-ოპტიმალურობა. სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას სამკომპონენტანი მეორე რიგის სიმპლექს – გისოსურ გეგმის უმცირესი მაქსიმალური საკუთარი რიცხვის (λ_{\max}) ცვლილებაზე დაკვირვების შედეგად მიღებული რიცხვითი მონაცემები მოცემულია მე-6 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის გაბნევა ცდომილებების გაზრდის შედეგად შესაბამისად იზრდება. მაგალითად, თუ 0.01%-იანი ცდომილების ზედდებისას იგი წარმოადგენს 0.33%-ს, 0.1% ცდომილების ზედდებისას უკვე აღწევს 3.46%, ხოლო მესამე დიაპაზონში 1%-5%-იანი ცდომილების დროს უარესდება 21.70%-ით.

სამკომპონენტანი მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის ცვლილება სხვადასხვა ცდომილების ზედღებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	32.49861814	32.54146877	32.51930297	0.01170899
0.03	32.47728279	32.61908408	32.54519600	0.03733163
0.05	32.45562393	32.67188853	32.56924542	0.05321059
0.07	32.43346312	32.76926151	32.58572887	0.06814839
0.09	32.44446439	32.83342400	32.62635130	0.09600657
0.1	32.41633959	32.84665530	32.62340633	0.11756934
0.3	32.20660467	33.64604394	32.88844363	0.37837928
0.5	31.99701637	34.20011808	33.13877903	0.54400918
0.7	31.78511175	35.26628719	33.31521768	0.70290539
0.9	31.90245296	35.97592548	33.75259437	1.00224087
1.0	31.62983080	36.13755884	33.73414722	1.22715217
2.0	30.56192381	40.54982063	35.19679193	2.46287060
3.0	29.86651071	47.01561041	37.11208937	4.41687336
4.0	29.62415241	51.03628175	37.67816343	5.29234806
5.0	29.19273669	56.47489114	41.05369696	7.11231590
10	31.37393567	122.87663924	62.95973476	21.09203765

ორთოგონალურობა. სამკომპონენტანი მეორე რიგის სიმპლექს – გისოსური გეგმის ორთოგონალურობის თვისებაზე ცდომილებების გავლენის კვლევისას, გაზომვის საშუალებების სხვადასხვა ცდომილებისას მიღებული გრაფიკული შედეგები წარმოდგენილია ნახ. 27-ზე და მე-7 ცხრილში მოყვანილია მათი რიცხვითი მონაცემები.



ნახ. 27. სამკომპონენტანი მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ორთოგონალურობა

ცხრილში მოცემული მონაცემების შესაბამისად სამკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ორთოგონალურობა ცდომილების თითოეულ განსახილველ დიაპაზონში ცდომილების გაზრდით უარესდება. 0.01%-0.09%-იან ცდომილების დიაპაზონში განსახილველი თვისების გაუარესება შეადგენს 0.37%-ს, მეორე 0,1-0,9%-იან დიაპაზონში კიდევ უფრო იზრდება და შეადგენს 3.89%-ს, ხოლო მესამე დიაპაზონში საზომი საშუალებების ცდომილებების გაზრდით 1%-5%-მდე საკვლევი გეგმის თვისება უკვე უარესდება 18.38%-ით.

ცხრილი 7.

სამკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის კოვარიაციული მატრიცის არადიაგონალური ელემენტების აბსოლუტური მნიშვნელობების ჯამების მინიმუმების ცვლილება

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	47.95794088	48.08084010	48.01792304	0.03181538
0.03	47.86381156	48.27614119	48.06168338	0.10080025
0.05	47.77664829	48.38635857	48.09619830	0.14068661
0.07	47.67973199	48.66044929	48.11410146	0.17936601
0.09	47.68088771	48.80149259	48.19637436	0.26038583
0.1	47.57904290	48.81448029	48.18026255	0.31954078
0.3	46.63555129	50.83054394	48.62810144	1.02261190
0.5	45.76240235	51.99886145	48.98607588	1.43961232
0.7	44.78580270	54.99928644	49.17588529	1.85112559
0.9	44.77973431	56.59170038	50.05532546	2.72506246
1.0	43.74746556	56.79346573	49.91049893	3.34341473
2.0	38.40401671	67.53388637	52.19322528	6.83023267
3.0	33.84294702	84.97975297	55.59684065	12.02490931
4.0	30.81205248	96.28675096	55.08446619	15.14224183
5.0	26.96040163	106.80118832	61.15165481	18.72440442
10	28.61331899	287.35612938	98.72138740	55.69704418

3.2.2. აგებული მოდელის საშუალებით გამოძახილის მნიშვნელობის წინასწარმეტყველების სიზუსტესთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა სამკომპონენტური მეორე რიგის გეგმისათვის

ამ პუნქტში განხილულია სამკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ის თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია გამოძახილის მნიშვნელობების წინასწარმეტყველები სიზუსტით


აგებული მოდელის (3.7) მეშვეობით, როგორცაა G- და Q-ოპტიმალურობები.

ასეთი გეგმებისათვის აგებულ მოდელს გააჩნია (3.7) სახე. ზოგად შემთხვევაში წინასწარმეტყველების მნიშვნელობის დისპერსია გამოითვლება (3.4) და (3.5) ფორმულით, სადაც

$$\mathbf{f}^T(\mathbf{x}) = \|\tilde{x}_1, \tilde{x}_2, \tilde{x}_3, \tilde{x}_1\tilde{x}_2, \tilde{x}_1\tilde{x}_3, \tilde{x}_2\tilde{x}_3\|$$

არის ჩვენს მიერ განსახილველი პოლინომიალური მეორე რიგის რეგრესია სამკომპონენტიანი გეგმისთვის.

ასეთი სახით გენერირებული გეგმისათვის განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი კრიტერიუმების მნიშვნელობების შესაბამისი სიმრავლე კვლევის იმ არეში, რომელიც განსაზღვრულია თვით სიმპლექსით. სივრცის ამ არის სკანირების შედეგად, თანმიმდევრულად იქნა მიღებული წერტილების კოორდინატები ბადის თითოეულ „კვანძში“ (ნახ. 28).



ნახ. 28. სამკომპონენტიანი მეორე რიგის გეგმის არის სკანირების პრინციპი

ამ წერტილების კოორდინატების (3.4)-ში და (3.5)-ში ჩასმის გზით განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი სივრცის მოცემულ წერტილებში გამოძახილის წინასწარმეტყველების დისპერსია. ბადის Δl მცირე ზიჯის დროს მიღებული იქნა მონაცემების მასივი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა გეგმების გამოსაკვლევი თვისებების შესახებ მსჯელობა.

განვიხილოთ ცალ-ცალკე ამ ჯგუფის თვისებები – G- და Q-ოპტიმალურობა.

G-ოპტიმალურობა. G-ოპტიმალურად მიიჩნევა (3.6) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ საკვლევ სივრცეში წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის (dmax) მინიმიზაციას.

განსახილველი გეგმების G-ოპტიმალურობის თვისებაზე სხვადასხვა ცდომილების გავლენის კვლევისას მიღებული რიცხვითი მნიშვნელობები მოყვანილია მე-8 ცხრილში, სადაც წარმოდგენილია წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, ამ მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკული და ასევე საშუალო კვადრატული გადახრა ან გაზრდა. მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ცდომილების გაზრდისას 0.01–0.09%-მდე G-ოპტიმალურობის თვისება განსახილველი გეგმისათვის გაუარესდა 0.42%-ით, ცდომილებების გაზრდისას 0.1%-0.9%-მდე უარესდებოდა 4.49%-ით, ხოლო ცდომილებების გაზრდით 1%-5%-მდე საკვლევ თვისება უარესდებოდა 29.56%-ით.


ცხრილი 8.

წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმუმის ცვლილება სამკომპონენტური შეფუთვების გეგმის მეორე რიგისათვის სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	6.00084548	6.00546341	6.00308233	0.00097529
0.03	6.00174333	6.01663728	6.00956068	0.00337345
0.05	6.00562888	6.02608670	6.01546941	0.00519298
0.07	6.00735952	6.03826149	6.02054559	0.00682044
0.09	6.00982594	6.04922780	6.02853881	0.00937041
0.1	6.00847695	6.05508554	6.03101026	0.00983170
0.3	6.01768549	6.17079779	6.09743443	0.03456557
0.5	6.05756183	6.27083230	6.15938533	0.05405608
0.7	6.07467205	6.40687849	6.21398301	0.07215310
0.9	6.10037180	6.52926660	6.30158827	0.10090644
1.0	6.08700705	6.59910989	6.32965278	0.10682320
2.0	6.09489983	7.31295211	6.69399254	0.25574957
3.0	6.20297842	8.25756420	7.18683697	0.45091998
4.0	6.55220136	8.85677205	7.50286515	0.48462168
5.0	6.71701881	10.0949098	8.20092384	0.84992715
10	7.12910534	23.20440935	12.86733453	3.13975386

Q-ოპტიმალურობა. Q-ოპტიმალურად მიიჩნევა (3.6) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ კვლევის გარკვეულ არეში წინასწარმეტყველების

საშუალო დისპერსიის მინიმიზაციას. ნახ. 29–ზე წარმოდგენილია შეცდომების დერეფანი, რომელიც მიღებული იქნა შეფხვს სამკომპონენტანი მეორე რიგის გეგმების Q-ოპტიმალურობაზე ცდომილებების გავლენის კვლევისას.



ნახ. 29. სამკომპონენტანი მეორე რიგის სიმპლექს–გისოსური გეგმის Q-ოპტიმალურობა ცდომილების არსებობისას

როგორც მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, ცდომილებების ცვლილებისას 0.01%-0.09%-იან შუალედში განსახილველი გეგმის Q-ოპტიმალურობა უარესდებოდა 0.11%-ით, 0.1%-0.9%-იან შუალედში უარესდებოდა 1.19%-ით, ხოლო 1%-5%-იან შუალედისათვის გაუარესება შეადგენდა 8.94%-ს.

3.3. სამკომპონენტანი არასრული კუბური რიგის გეგმა

სამკომპონენტანი ნარევის არასრული კუბური რიგის გეგმას გააჩნია შემდეგი სახე:

$$\mathbf{X} = \begin{matrix} & \begin{matrix} \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 & \tilde{x}_3 \end{matrix} \\ \begin{bmatrix} 1 & 0 & 1 \\ 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 1 \\ 1/2 & 1/2 & 0 \\ 1/2 & 0 & 1/2 \\ 0 & 1/2 & 1/2 \\ 1/3 & 1/3 & 1/3 \end{bmatrix} & \end{matrix} \quad (3.8)$$


შესაბამისი რეგრესიის განტოლება:

$$\hat{y} = b_1x_1 + b_2x_2 + b_3x_3 + b_{12}x_1x_2 + b_{13}x_1x_3 + b_{23}x_2x_3 + b_{123}x_1x_2x_3 \quad (3.9)$$

3.3.1. რეგრესიული განტოლების სიზუსტის შეფასებასთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა სამკომპონენტური არასრული კუბური რიგის გეგმისათვის

A-ოპტიმალურობა. ნახ. 30–ზე ილუსტრირებულია სამკომპონენტური სიმპლექს–გისოსური გეგმების არასრული კუბური რიგისათვის კოვარიაციული მატრიცის კვალის $M^{-1} = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$ მნიშვნელობაზე ცდომილების გავლენის გრაფიკული შედეგები.

როგორც გვიჩვენა ჩატარებული კვლევის ანალიზმა, სამკომპონენტური სიმპლექს–გისოსური გეგმის არასრული კუბური რიგისათვის ცდომილების 0.01%–დან 0.09%–მდე ცვლილების დიაპაზონში შეინიშნება განსახილველი გეგმის A-ოპტიმალურობის თვისების გაუარესება 0.86%–ით, 0.1%–დან 0.9%–მდე დიაპაზონში ეს გაუარესება შეადგენს უკვე 9.17%–ს, მკვეთრად იზრდება აგრეთვე გაზრევა მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის, მაგალითად უკვე 1%–იან ცდომილებისას ის შეადგენს $0.0377 \cdot 10^3$.



ნახ. 30. სამკომპონენტური არასრული კუბური რიგის სიმპლექს–გისოსური გეგმის A-ოპტიმალურობა

D-ოპტიმალურობა. მე-9 ცხრილში მოცემულია შეცდომების მატრიცის $M^{-1} = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$ მსაზღვრელის ცვლილებების შესაძლო მინიმალური და

მაქსიმალური მნიშვნელობები, რომლებიც მიღებულია არასრული კუბური რიგის სამკომპონენტური სიმპლექს-გისოსური გეგმებზე საზომი საშუალებების მახასიათებელი ცდომილებების გავლენის კვლევისას, ასევე საშუალო არითმეტიკული მიღებული მნიშვნელობებიდან – შეცდომების დერეფნის საშუალო ხაზი და გაფანტვა – საშუალო კვადრატული გადახრა.

განსახილველ გეგმაზე ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შესაბამისად D-ოპტიმალურობა ცდომილებების ზედდებისას გაუარესდა. 0.01%-დან 0.1%-მდე ცდომილების ზედდებისას D-ოპტიმალურობა უარესდება 2.51%-ით, ხოლო ცდომილების 1%-მდე გაზრდით ოპტიმალურობა უარესდება 29.09%-მდე. ცდომილების შემდგომი გაზრდის შედეგად მკვეთრად იზრდება, აგრეთვე გაბნევა მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის.

ცხრილი 9.


სამკომპონენტური არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის კოვარიაციული მატრიცის მინიმალური მსაზღვრელის ცვლილება სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
	1.0e+006 *			
0.01	2.98865262	3.00146666	2.99499647	0.00284336
0.03	2.99287022	3.03595605	3.01220857	0.00780855
0.05	2.99281644	3.05866508	3.03142447	0.01452660
0.07	3.00735875	3.10515044	3.04816783	0.01863724
0.09	3.00660996	3.13151598	3.07023624	0.02770386
	1.0e+006 *			
0.1	3.01283347	3.01283347	3.07759415	0.02922958
0.3	3.05568414	3.05568414	3.26108338	0.08524642
0.5	3.05635216	3.05635216	3.48018354	0.16622955
0.7	3.21073515	3.21073515	3.68373089	0.22775942
0.9	3.20469211	3.20469211	3.97297284	0.35836632
	1.0e+007 *			
1.0	0.32717250	0.50462580	0.40733612	0.03887038
2.0	0.36918960	0.85351392	0.55929337	0.10337451
3.0	0.37759383	1.73245867	0.77806402	0.22856555
4.0	0.44519631	2.78789737	1.20596637	0.45694527
5.0	0.39444166	4.06053695	1.74823993	0.84133137
	1.0e+009 *			
10	0.00923706	1.41514245	0.20411567	0.24112891

E-ოპტიმალურობა. სამკომპონენტური არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმების E-ოპტიმალურობაზე ცდომილებების

გავლენის კვლევისას მიღებული შედეგების გრაფიკული გამოსახულება წარმოდგენილია ნახ. 31-ზე.

ჩატარებული კვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის გაბნევა ცდომილებების გაზრდის შედეგად შესაბამისად იზრდება. ასე მაგალითად, თუ 0.01%-0.09% ცდომილების ზედდებისას იგი წარმოადგენს 0.87%-ს, მეორე 0.1%-0.9% დიაპაზონში კიდევ უფრო იზრდება და აღწევს 9.44%, ხოლო მესამე დიაპაზონში საზომი საშუალებების ცდომილებების გაზრდით 1%-5%-მდე საკვლევი გეგმის თვისება უკვე უარესდება 39.14%-ით.



ნახ. 31. სამკომპონენტური არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის E-ოპტიმალურობა

ორთოგონალურობა. სამკომპონენტური არასრული კუბური რიგის სიმპლექს – გისოსური გეგმის ორთოგონალურობის თვისებაზე ცდომილებების გავლენის კვლევისას, გაზომვის საშუალებების სხვადასხვა ცდომილებისას მიღებული შედეგების რიცხვითი მონაცემები მოცემულია მე-10 ცხრილში. ცხრილში მოცემული მონაცემების შესაბამისად სამკომპონენტური არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ორთოგონალურობა ცდომილების თითოეულ განსახილველ დიაპაზონში ცდომილების გაზრდით უარესდება. 0.01%-0.09%-იან ცდომილების დიაპაზონში განსახილველი თვისების გაუარესება შეადგენს 1.44%-ს, ხოლო

საზომი საშუალებების ცდომილებების შემდგომი გაზრდით საკვლევი გეგმის თვისება კიდევ უფრო მკვეთრად უარესდება.

ცხრილი 10.

სამკომპონენტო არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის კოვარიაციული მატრიცის არადიაგონალური ელემენტების აბსოლუტური მნიშვნელობების ჯამების მინიმუმების ცვლილება

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
	1.0e+002 *			
0.01	4.26238211	4.27250710	4.2672210,	0.00205571
0.03	4.26667918	4.30054677	4.28126569	0.00632383
0.05	4.26542948	4.31781322	4.29653183	0.01096267
0.07	4.27804514	4.35521959	4.31077803	0.01447977
0.09	4.27819533	4.37375069	4.32860606	0.02069320
	1.0e+002 *			
0.1	4.28390646	4.38671592	4.33280975	0.02084696
0.3	4.32737795	4.68252737	4.47819853	0.06627490
0.5	4.31503828	4.87375464	4.64136373	0.11742909
0.7	4.44515561	5.30824928	4.80006787	0.16088733
0.9	4.44775564	5.53609435	5.00570726	0.23644655
	1.0e+002 *			
1.0	4.50793541	5.70979027	5.05279891	0.24078206
2.0	4.76135992	7.56431637	6.01791075	0.56095198
3.0	4.99402569	10.9671848	7.16372892	1.10037051
4.0	5.52397524	13.4452929	8.79680350	1.59742584
5.0	4.90312299	16.5275455	10.6073787	2.60043005
	1.0e+002 *			
10	8.15139309	99.25511677	32.34151347	19.25363585

3.3.2. აგებული მოდელის საშუალებით გამოძახილის მნიშვნელობის წინასწარმეტყველების სიზუსტესთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა სამკომპონენტო არასრული კუბური რიგის გეგმისათვის


ამ თავში განხილულია სამკომპონენტო არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ის თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია გამოძახილის მნიშვნელობების წინასწარმეტყველები სიზუსტით აგებული მოდელის (3.9) მეშვეობით, როგორცაა G- და Q-ოპტიმალურობები.

ასეთი გეგმებისათვის აგებულ მოდელს გააჩნია (3.9) სახე. ზოგად შემთხვევაში წინასწარმეტყველების მნიშვნელობის დისპერსია გამოითვლება (3.4) და (3.5) ფორმულით, სადაც

$$\mathbf{f}^T(\mathbf{x}) = \|\tilde{x}_1, \tilde{x}_2, \tilde{x}_3, \tilde{x}_1\tilde{x}_2, \tilde{x}_1\tilde{x}_3, \tilde{x}_2\tilde{x}_3, \tilde{x}_1\tilde{x}_2\tilde{x}_3\|$$

წარმოადგენს ჩვენს მიერ განსახილველი პოლინომიალური არასრული კუბური რიგის რეგრესიას სამკომპონენტისათვის.

ასეთი სახით გენერირებული გეგმისათვის განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი კრიტერიუმების მნიშვნელობების შესაბამისი სიმრავლე კვლევის იმ არეში, რომელიც განსაზღვრულია თვით სიმპლექსით. სივრცის ამ არის სკანირების შედეგად, თანმიმდევრულად იქნა მიღებული წერტილების კოორდინატები ბადის თითოეულ „კვანძში“ (ნახ. 32).



ნახ. 32. სამკომპონენტის არასრული კუბური რიგის გეგმის არის სკანირების პრინციპი

ამ წერტილების კოორდინატების (3.4)–ში ან (3.5)–ში ჩასმის გზით განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი სივრცის მოცემულ წერტილებში გამოძახილის წინასწარმეტყველების დისპერსია. ბადის Δl მცირე ბიჯის დროს მიღებული იქნა მონაცემების მასივი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა გეგმების გამოსაკვლევი თვისებების შესახებ მსჯელობა.

განვიხილოთ ცალ–ცალკე ამ ჯგუფის თვისებები – G- და Q-ოპტიმალურობა.

G-ოპტიმალურობა. G-ოპტიმალურად მიიჩნევა (3.8) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ საკვლევ სივრცეში წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის (dmax) მინიმიზაციას.

განსახილველი გეგმების G-ოპტიმალურობის თვისებაზე სხვადასხვა ცდომილების გავლენის კვლევისას მიღებული რიცხვითი მნიშვნელობები მოყვანილია 11-ე ცხრილში, სადაც წარმოდგენილია წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, ამ მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკული და ასევე საშუალო კვადრატული გადახრა ან გაბნევა.

მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ცდომილების გაზრდისას 0.01%-დან 0,09%-მდე G-ოპტიმალურობის თვისება განსახილველი სამკომპონენტური შეფუთვების არასრული კუბური რიგისათვის გაუარესდა 0.73%-ით, ცდომილებების გაზრდისას 0.1%-დან 0.9%-მდე უარესდებოდა 8.05%-ით, ხოლო ცდომილებების გაზრდით 1%-დან 5%-მდე საკვლევი თვისება უარესდებოდა 64.74%-ით.

ცხრილი 11.


წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმუმის ცვლილება სამკომპონენტური შეფუთვების არასრული კუბური რიგისათვის სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	7.00212023	7.00808704	7.00614296	0.00125105
0.03	7.00643600	7.02425300	7.01881951	0.00456127
0.05	7.00496096	7.04051744	7.03150989	0.00703813
0.07	7.01669913	7.05704015	7.04430029	0.00990756
0.09	7.01536943	7.07334737	7.05747969	0.01443201
0.1	7.02128332	7.08180875	7.06200777	0.01271729
0.3	7.06494894	7.25150762	7.19394494	0.04805088
0.5	7.04993197	7.43037884	7.33097332	0.07605747
0.7	7.17123038	7.62439154	7.47526411	0.11126932
0.9	7.15952267	7.81867228	7.63023304	0.16658377
1.0	7.22114873	7.918793821	7.68181773	0.14981172
2.0	7.57754497	9.215941493	8.56533925	0.40485052
3.0	7.71272515	10.90775015	9.66507932	0.81314174
4.0	8.33517549	12.97982515	10.9086924	0.96855025
5.0	7.53374758	16.53866636	12.6712557	1.76469996
10	10.38108192	71.24724192	30.14444370	10.81219436

Q-ოპტიმალურობა. Q-ოპტიმალურად მიიჩნევა (3.8) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ კვლევის გარკვეულ არეში წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის მინიმუმისა.

ნახ. 33–ზე წარმოდგენილია შეცდომების დერეფანი, რომელიც მიიღებოდა შეფხვს სამკომპონენტური არასრული კუბური რიგის გეგმების Q-ოპტიმალურობაზე ცდომილებების გავლენის კვლევისას.

როგორც მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, განსახილველი გეგმის ცდომილებების ცვლილებისას 0.01%-0.09%-იან შუალედში Q-ოპტიმალურობა უარესდებოდა 0.19%-ით, 0.1%-0.9%-იან შუალედში უარესდებოდა 2.10%-ით, ხოლო 1%-5%-იან შუალედისათვის გაუარესება შეადგენდა 17.55%-ს.



ნახ. 33. სამკომპონენტური არასრული კუბური რიგის სიმპლექს–გისოსური გეგმის Q-ოპტიმალურობა ცდომილების არსებობისას

3.4. სამკომპონენტური კუბური რიგის გეგმა

სამკომპონენტური ნარევის კუბური რიგის გეგმას გააჩნია შემდეგი

სახე:


$$\mathbf{X} = \begin{matrix} & \begin{matrix} \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 & \tilde{x}_3 \end{matrix} \\ \begin{bmatrix} 1 & 0 & 1 \\ 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 1 \\ 1/3 & 0 & 2/3 \\ 2/3 & 0 & 1/3 \\ 1/3 & 2/3 & 0 \\ 2/3 & 1/3 & 0 \\ 0 & 1/3 & 2/3 \\ 0 & 2/3 & 1/3 \\ 1/3 & 1/3 & 1/3 \end{bmatrix} & \end{matrix} \quad (3.10)$$

შესაბამისი რეგრესიის განტოლება:

$$\hat{y} = b_1x_1 + b_2x_2 + b_3x_3 + b_{12}x_1x_2 + b_{13}x_1x_3 + b_{23}x_2x_3 + \gamma_{12}x_1x_2(x_1 - x_2) + \gamma_{13}x_1x_3(x_1 - x_3) + \gamma_{23}x_2x_3(x_2 - x_3) + b_{123}x_1x_2x_3 \quad (3.11)$$

3.4.1. რეგრესიული განტოლების სიზუსტის შეფასებასთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა სამკომპონენტიანი კუბური რიგის გეგმისათვის

A-ოპტიმალურობა. ნახ. 34-ზე ნაჩვენებია შეცდომების დერეფნის გრაფიკული ილუსტრაცია, რომელიც მიიღებოდა სამკომპონენტიანი მესამე რიგის სიმპლექს-გისოსურ გეგმასთან მაქსიმალურად მიახლოებული სიმეტრიული კოვარიაციული მატრიცის $M^{-1} = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$ კვალის კვლევისას. როგორც ნახაზიდან ჩანს, ცდომილების გაზრდით შეცდომების დერეფანი იზრდება.



ნახ. 34. სამკომპონენტიანი კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის A-ოპტიმალურობა

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შესაბამისად განსახილველი გეგმის ოპტიმალურობის მახასიათებელი ცდომილების გაზრდით უარესდება. საზომი საშუალების 0.01–0.09%-მდე ცდომილების დროს A-ოპტიმალურობა უარესდება 0.76%-ით, მეორე დიაპაზონში ცდომილების 0.1%-დან 0.9%-მდე გაზრდა იწვევს 8.18%-იან ცვლილებას, ცდომილების შემდგომში გაზრდის შედეგად მკვეთრად იზრდება აგრეთვე

გაზრდა მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის, მაგალითად 1%-იანი ცდომილებისას ის უკვე შეადგენს 32.5.

D-ოპტიმალურობა. შეცდომების მატრიცის მსაზღვრელის $M^{-1} = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$ ცვლილების რიცხვითი შედეგები, რომლებიც მიიღება სხვა-დასხვა სიდიდის k ცდომილებების ზედდებით სამი ცვლადის მქონე მესამე რიგის სიმპლექს-გისოსურ გეგმებთან მიახლოებულ გეგმებზე, წარმოდგენილია მე-12 ცხრილში.

ცხრილი 12.


სამკომპონენტური კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის კოვარიაციული მატრიცის მინიმალური მსაზღვრელის ცვლილება სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
	1.0e+011 *			
0.01	5.73715653	5.76944707	5.75311759	0.00896461
0.03	5.75964902	5.86854839	5.80874851	0.02692150
0.05	5.77517522	5.97676030	5.87403972	0.04472196
0.07	5.82104313	6.08758203	5.93029821	0.06204487
0.09	5.78842309	6.18139922	5.99638041	0.08143779
	1.0e+012 *			
0.1	0.58418678	0.61795893	0.60074187	0.00936804
0.3	0.60765643	0.73339993	0.66241587	0.03077927
0.5	0.62460055	0.88220076	0.74298340	0.05701852
0.7	0.67713447	1.06490011	0.82079641	0.08728802
0.9	0.64047752	1.24486653	0.92315260	0.12674024
	1.0e+013 *			
1.0	0.07019252	0.12409234	0.09438077	0.01481198
2.0	0.07908457	0.30982984	0.17136315	0.05068207
3.0	0.10692963	0.76388814	0.29438740	0.14117605
4.0	0.12984052	1.99772309	0.57807911	0.36780246
5.0	0.15056290	6.83926256	1.32837699	1.24156455
	1.0e+016 *			
10	0.00059161	1.28990545	0.09841975	0.18600995

ცხრილის მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ განსახილველი გეგმის D-ოპტიმალურობის თვისება ცდომილებების ზედდებით უარესდება. საზომი საშუალებების 0.01%-დან 0.09%-მდე ცდომილების ცვლილების დიაპაზონში დაკვირვებმა გვიჩვენა, რომ განსახილველი გეგმის D-ოპტიმალურობის თვისება გაუარესდა 4.23%-ით, ხოლო 0.1%-0.9%-მდე ეს გაუარესება შეადგენს უკვე 34.92%-ს.

E-ოპტიმალურობა. მიღებული შედეგების გრაფიკული გამოსახულება წარმოდგენილია ნახ. 35-ზე.

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შესაბამისად უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის გაბნევა ცდომილებების გაზრდის შედეგად შესაბამისად იზრდება. 0.01%-0.09%-იანი ცდომილების ზედდებისას იგი წარმოადგენს 0.86%, 0.1%-0.9%-მდე ცდომილების ზედდებისას უკვე აღწევს 9.18%, ცდომილების შემდგომში გაზრდის შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება აგრეთვე გაბნევა მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის.




ნახ. 35. სამკომპონენტური კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის E-ოპტიმალურობა

ორთოგონალურობა. მესამე რიგის სამკომპონენტური სიმპლექს – გისოსური გეგმის ორთოგონალურობის თვისებაზე ცდომილებების გავლენის კვლევისას მიღებული გრაფიკული შედეგები წარმოდგენილია ნახ. 36-ზე.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შესაბამისად სამკომპონენტური კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ორთოგონალურობა ცდომილების თითოეულ განსახილველ დიაპაზონში ცდომილების გაზრდით უარესდება. 0.01%-0.09%-იან ცდომილების დიაპაზონში განსახილველი თვისების გაუარესება შეადგენს 1.87%-ს. მეორე

0.1-0.9%-იან დიაპაზონში კიდევ უფრო იზრდება და შეადგენს 19.99%-ს, ცდომილების შემდგომში გაზრდის შედეგად მკვეთრად იზრდება აგრეთვე გაბნევა მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის და 1%-იანი ცდომილებისას ის უკვე აღწევს 43.13.



ნახ. 36. სამკომპონენტური კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ორთოგონალურობა

3.4.2. აგებული მოდელის საშუალებით გამოძახილის მნიშვნელობის წინასწარმეტყველების სიზუსტესთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა სამკომპონენტური კუბური რიგის გეგმისათვის

ამ ნაწილში განხილულია სამკომპონენტური კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ის თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია გამოძახილის მნიშვნელობების წინასწარმეტყველები სიზუსტით აგებული მოდელის (3.11) მეშვეობით, როგორცაა G- და Q- ოპტიმალურობები.

ასეთი გეგმებისათვის აგებულ მოდელს გააჩნია (3.11) სახე. ზოგად შემთხვევაში წინასწარმეტყველების მნიშვნელობის დისპერსია გამოითვლება (3.4) და (3.5) ფორმულით, სადაც


$$\mathbf{f}^T(\mathbf{x}) = \|\tilde{x}_1, \tilde{x}_2, \tilde{x}_3, \tilde{x}_1\tilde{x}_2, \tilde{x}_1\tilde{x}_3, \tilde{x}_2\tilde{x}_3, \tilde{x}_1\tilde{x}_2(\tilde{x}_1 - \tilde{x}_2), \tilde{x}_1\tilde{x}_3(\tilde{x}_1 - \tilde{x}_3), \tilde{x}_2\tilde{x}_3(\tilde{x}_2 - \tilde{x}_3), \tilde{x}_1\tilde{x}_2\tilde{x}_3\|$$

წარმოადგენს ჩვენს მიერ განსახილველი პოლინომიალური კუბური რიგის რეგრესიას სამკომპონენტურისათვის.

ასეთი სახით გენერირებული გეგმისათვის განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი კრიტერიუმების მნიშვნელობების შესაბამისი სიმრავლე კვლევის იმ არეში, რომელიც განსაზღვრულია თვით სიმპლექსით.

სივრცის ამ არის სკანირების შედეგად, თანმიმდევრულად იქნა მიღებული წერტილების კოორდინატები ბადის თითოეულ „კვანძში“ (ნახ.37).

ამ წერტილების კოორდინატების (3.4)-ში და (3.5)-ში ჩასმის გზით განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი სივრცის მოცემულ წერტილებში გამოძახილის წინასწარმეტყველების დისპერსია. ბადის Δl მცირე ბიჯის დროს მიღებული იქნა მონაცემების მასივი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა გეგმების გამოსაკვლევი თვისებების შესახებ მსჯელობა.



ნახ. 37. სამკომპონენტანი კუბური რიგის გეგმის არის სკანირების პრინციპი

განვიხილოთ ცალ-ცალკე ამ ჯგუფის თვისებები – G- და Q-ოპტიმალურობა.

G-ოპტიმალურობა. G-ოპტიმალურად მიიჩნევა (3.10) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ საკვლევ სივრცეში წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის (d_{max}) მინიმიზაციას.

განსახილველი გეგმების G-ოპტიმალურობის თვისებაზე სხვადასხვა ცდომილების გავლენის კვლევისას მიღებული რიცხვითი მნიშვნელობები მოცემულია 13-ე ცხრილში, სადაც წარმოდგენილია წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, ამ მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკული და ასევე საშუალო კვადრატული გადახრა ან გაბნევა.

წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმუმის ცვლილება
სამკომპონენტური შეფუთვების გეგმის კუბური რიგისათვის სხვადასხვა ცდომილების
ზედღებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	11.52700141	11.53470872	11.53051968	0.00172508
0.03	11.53081128	11.55925910	11.54453911	0.00619640
0.05	11.53322546	11.58506462	11.56011209	0.01094696
0.07	11.54114843	11.61347860	11.57498930	0.01360181
0.09	11.54685059	11.63363916	11.58882568	0.01914166
0.1	11.56209116	11.63951319	11.59715426	0.01743849
0.3	11.60349158	11.89747121	11.74351819	0.06433209
0.5	11.62314273	12.18000772	11.91327378	0.11422396
0.7	11.71461643	12.51305330	12.08349674	0.14902488
0.9	11.77617513	12.73869066	12.24187025	0.21313977
1.0	11.98095197	12.81777043	12.34403580	0.19529850
2.0	12.27493260	14.86754981	13.52718531	0.60957484
3.0	12.97771290	18.35943990	15.26164812	1.06486357
4.0	13.40841311	22.84865981	17.83061740	1.90720690
5.0	16.22618222	31.49720605	21.32461094	3.28590201
10	24.14465757	174.60422605	62.80599166	30.57607191

მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ G-ოპტიმალურობის თვისება განსახილველი სამკომპონენტური შეფუთვების გეგმის კუბური რიგისათვის ცდომილების გაზრდისას 0.09%-მდე გაუარესდა 0.51%-ით, ცდომილებების გაზრდისას 0.1%-დან 0.9%-მდე უარესდებოდა 5.56%-ით, მესამე განსახილველ დიაპაზონში G-ოპტიმალურობის თვისება მკვეთრად უარესდება.

ეს ჩანს მონაცემებიდანაც, რომლებიც წარმოდგენილია საშუალო კვადრატული გადახრის სვეტში. მაგალითად, თუ 1%-იან ცდომილებაზე გაბნევა შეადგენდა 0.19529850, უკვე 5%-იან ცდომილებაზე სიდიდე აღწევს 3.28590201.

Q-ოპტიმალურობა. Q-ოპტიმალურად მიიჩნევა (3.10) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ კვლევის გარკვეულ არეში წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის მინიმიზაციას.

გამოსაკვლევ გეგმების Q-ოპტიმალურობის თვისებაზე ცდომილების გავლენის შესწავლის შედეგად მიღებული რიცხვითი მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილ 14-ში.

ცხრილი 14.

წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის ცვლილება სამკომპონენტური შეფუთვების გეგმის კუბური რიგისათვის სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	8.66938666	8.67095715	8.67010465	0.00038956
0.03	8.66912478	8.67481429	8.67214413	0.00116587
0.05	8.67000605	8.67969448	8.67466872	0.00214213
0.07	8.67138418	8.68445501	8.67695422	0.00283126
0.09	8.67225497	8.68952956	8.67932162	0.00370118
0.1	8.67186594	8.68793335	8.67921629	0.00392273
0.3	8.67080785	8.72980399	8.70193011	0.01198013
0.5	8.68171548	8.78706454	8.73214961	0.02270034
0.7	8.70625789	8.85038230	8.76218965	0.03025985
0.9	8.71303390	8.91041344	8.79729011	0.04198882
1.0	8.70927623	8.90885591	8.80074395	0.04333927
2.0	8.80270912	9.26951749	9.03212835	0.10903994
3.0	8.86152257	9.79090737	9.29926405	0.18695799
4.0	9.03973113	10.6540658	9.72681210	0.32763796
5.0	9.23339924	11.8934907	10.3167794	0.52930756
10	10.85084049	30.07455232	16.86163959	3.71617146

როგორც მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, ცდომილებების ცვლილებისას 0.01%-0.09%-იან შუალედში, განსახილველი სამკომპონენტური შეფუთვების გეგმის კუბური რიგისათვის Q-ოპტიმალურობა უარესდებოდა 0.11%-ით, 0.1%-0.9%-იან შუალედში უარესდებოდა 1.36%-ით, ხოლო 1%-5%-იან შუალედისათვის გაუარესება შეადგენდა 17.23%-ს.

3.5. სამკომპონენტური მეოთხე რიგის გეგმა

სამკომპონენტური ნარევის მეოთხე რიგის გეგმას გააჩნია შემდეგი

სახე:

$$\mathbf{X} = \begin{matrix} & \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 & \tilde{x}_3 \\ \begin{bmatrix} 1 & 0 & 1 \\ 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 1 \\ 1/2 & 1/2 & 1/2 \\ 1/2 & 0 & 1/2 \\ 0 & 1/2 & 1/2 \\ 1/4 & 0 & 3/4 \\ 3/4 & 0 & 1/4 \\ 1/4 & 3/4 & 0 \\ 3/4 & 1/4 & 0 \\ 0 & 1/4 & 3/4 \\ 0 & 3/4 & 1/4 \\ 1/4 & 1/4 & 1/2 \\ 1/4 & 1/2 & 1/4 \\ 1/2 & 1/4 & 1/4 \end{bmatrix} & & & \end{matrix} \quad (3.12)$$

შესაბამისი რეგრესიის განტოლება:


$$\begin{aligned} \hat{y} = & b_1x_1 + b_2x_2 + b_3x_3 + b_{12}x_1x_2 + b_{13}x_1x_3 + b_{23}x_2x_3 + \\ & + \gamma_{12}x_1x_2(x_1 - x_2) + \gamma_{13}x_1x_3(x_1 - x_3) + \gamma_{23}x_2x_3(x_2 - x_3) + \\ & + \delta_{12}x_1x_2(x_1 - x_2)^2 + \delta_{13}x_1x_3(x_1 - x_3)^2 + \delta_{23}x_2x_3(x_2 - x_3)^2 + \\ & + b_{1123}x_1^2x_2x_3 + b_{1223}x_1x_2^2x_3 + b_{1233}x_1x_2x_3^2 \end{aligned} \quad (3.13)$$

3.5.1. რეგრესიული განტოლების სიზუსტის შეფასებასთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა სამკომპონენტური მეოთხე რიგის გეგმისათვის

A-ოპტიმალურობა. ნახ. 38-ზე ნაჩვენებია სამკომპონენტური მეოთხე რიგის სიმპლექს-გისოსურ გეგმასთან მაქსიმალურად მიახლოებული სიმეტრიული კოვარიაციული მატრიცის კვალის კვლევისას მიღებული შეცდომების დერეფნის გრაფიკული ილუსტრაცია. სურათიდან ნათლად ჩანს, რომ ცდომილებების გაზრდით ასევე იზრდება შეცდომების დერეფანი.

მეოთხე რიგის განსახილველი სიმპლექს-გეგმის A-ოპტიმალურობის თვისება საზომი საშუალებების ცდომილების პირობებში შეიცვალა

შემდეგი სახით: პირველ განსახილველ დიაპაზონში 0.01%-დან 0.09%-მდე ცდომილებისას შეინიშნებოდა გაუარესება 0.93%-ით, დიაპაზონში 0,1%-დან 1%-მდე გაუარესება გახდა 10.12%, მესამე განსახილველ დიაპაზონში A-ოპტიმალურობის თვისება მკვეთრად უარესდება. მაგალითად თუ 1%-იან ცდომილებაზე გაბნევა შეადგენდა 0.01270324, უკვე 5%-იან ცდომილებაზე სიდიდე აღწევს 0.12877595.



ნახ. 38. სამკომპონენტური მეოთხე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის A-ოპტიმალურობა

D-ოპტიმალურობა. 15-ე ცხრილში წარმოდგენილია მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, რომლებიც მიღებულია მეოთხე რიგის სამკომპონენტური სიმპლექს-გისოსური გეგმებზე საზომი საშუალებების მახასიათებელი ცდომილებების გავლენის კვლევისას, ასევე საშუალო არითმეტიკული მიღებული მნიშვნელობებიდან – დერეფნის საშუალო ხაზი და საშუალო კვადრატული გადახრა.

როგორც მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, D-ოპტიმალურობის თვისება ცდომილებების ზედდებით 0.01%-დან 0.1%-მდე უარესდება 7.81%-ით, ცდომილების შემდგომში გაზრდის შედეგად მკვეთრად იზრდება აგრეთვე განსახილველი თვისების მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის გაბნევა.

სამკომპონენტური მეოთხე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის კოვარიაციული მატრიცის მინიმალური მსაზღვრელის ცვლილება სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
	1.0e+027 *			
0.01	2.45255938	2.48170433	2.46641545	0.00566097
0.03	2.47278250	2.55071054	2.51672694	0.01832189
0.05	2.48764559	2.63387441	2.56043227	0.03015042
0.07	2.51615660	2.70046320	2.60453159	0.04620254
0.09	2.53362753	2.77272884	2.65903413	0.05557336
	1.0e+027 *			
0.1	2.54477209	2.86445987	2.69314850	0.06180903
0.3	2.76527789	3.77720549	3.30882449	0.23963499
0.5	2.94179015	5.22861168	3.95825165	0.47427809
0.7	3.31002131	6.74297894	4.75759314	0.85620465
0.9	3.57777443	8.86059992	5.92519226	1.24099560
	1.0e+031 *			
1.0	0.00037272	0.00124345	0.00067968	0.00015774
2.0	0.00066654	0.00466166	0.00212667	0.00099348
3.0	0.00095102	0.02571580	0.00806969	0.00576045
4.0	0.00127095	0.22492484	0.02992313	0.03227935
5.0	0.00221513	1.60073443	0.12616892	0.23366780
	1.0e+037 *			
10	0.00000007	4.38247904	0.06100928	0.44711798

E-ოპტიმალურობა. 16-ე ცხრილში მოცემულია მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ უმცირესი მაქსიმალური საკუთარი რიცხვის (λ_{max}) ცვლილებას ცდომილებების განსახილველ დიაპაზონში სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას.


როგორც გვიჩვენა მონაცემების ანალიზმა, E-ოპტიმალურობის თვისება სამკომპონენტური გეგმების მეოთხე რიგისათვის მნიშვნელოვნად გაუარესდა ცდომილების გაზრდის შედეგად.

ცდომილების გაზრდისას 0.01–0.09%-მდე განსახილველი თვისება გაუარესდა 1.24%-ით, ცდომილებების გაზრდისას 0.1%-დან 0.9%-მდე გაუარესდა 13.54%-ით, ხოლო მესამე განსახილველ დიაპაზონში E -ოპტიმალურობის თვისება მკვეთრად უარესდება. ეს ნათლად ჩანს მონაცემებშიც, რომლებიც წარმოდგენილია საშუალო კვადრატული გადახრის სვეტში.

სამკომპონენტური მეოთხე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის ცვლილება სხვადასხვა ცდომილების ზედღებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
	1.0e+004 *			
0.01	1.99727031	2.00017296	1.99895433	0.00061736
0.03	2.00022851	2.01018508	2.00534116	0.00183977
0.05	2.00467037	2.01757709	2.01111610	0.00309325
0.07	2.00786654	2.02550816	2.01633108	0.00407904
0.09	2.00782689	2.03825611	2.02368393	0.00559419
	1.0e+004 *			
0.1	2.00977233	2.03931687	2.02691672	0.00626303
0.3	2.04054475	2.14392107	2.09347045	0.01928609
0.5	2.08776622	2.22687739	2.15606735	0.03346643
0.7	2.12363129	2.31975868	2.21531359	0.04496471
0.9	2.13232634	2.47152674	2.30128580	0.06451918
	1.0e+004 *			
1.0	2.13647798	2.49028966	2.34189238	0.07278691
2.0	2.31287677	3.15176479	2.76697737	0.18047762
3.0	2.59718594	4.30593725	3.39541718	0.33252989
4.0	3.00999257	5.40128888	4.09217423	0.52068425
5.0	3.58871792	7.35706827	5.03177017	0.90647626
	1.0e+007 *			
10	0.00689445	6.17614603	0.21178955	0.74982960

ორთოგონალურობა. გაზომვის საშუალებების სხვადასხვა ცდომილებისას მიღებული გრაფიკული შედეგები წარმოდგენილია ნახ. 39-ზე.



ნახ. 39. სამკომპონენტური მეოთხე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ორთოგონალურობა

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების შესაბამისად სამკომპონენტური მეოთხე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ორთოგონალურობა ცდომილების თითოეულ განსახილველ დიაპაზონში ცდომილების გაზრდით უარესდება. 0.01%-0.09%-იან ცდომილების დიაპაზონში განსახილველი თვისების გაუარესება შეადგენს 1.15%-ს, მეორე 0,1-0,9%-იან დიაპაზონში კიდევ უფრო იზრდება და შეადგენს 13.11%-ს, ცდომილების შემდგომში გაზრდის შედეგად მკვეთრად იზრდება აგრეთვე გაბნევა მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის, ასე მაგალითად 1%-იანი ცდომილებისას ის უკვე შეადგენს 0.153637.

3.5.2. აგებული მოდელის საშუალებით გამოძახილის მნიშვნელობის წინასწარმეტყველების სიზუსტესთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა სამკომპონენტური მეოთხე რიგის გეგმისათვის


ამ პუნქტში განხილულია სამკომპონენტური მეოთხე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ის თვისებები, რომლებიც დაკავშირებული არიან გამოძახილის მნიშვნელობების ნაწინასწარმეტყველები სიზუსტით აგებული მოდელის (3.13) მეშვეობით, როგორცაა G- და Q-ოპტიმალურობები.

ასეთი გეგმებისათვის აგებულ მოდელს გააჩნია (3.13) სახე. ზოგად შემთხვევაში წინასწარმეტყველების მნიშვნელობის დისპერსია გამოითვლება (3.4) და (3.5) ფორმულით, სადაც

$$\mathbf{f}^T(\mathbf{x}) = \|\tilde{x}_1, \tilde{x}_2, \tilde{x}_3, \tilde{x}_1\tilde{x}_2, \tilde{x}_1\tilde{x}_3, \tilde{x}_2\tilde{x}_3, \tilde{x}_1\tilde{x}_2(\tilde{x}_1 - \tilde{x}_2), \tilde{x}_1\tilde{x}_3(\tilde{x}_1 - \tilde{x}_3), \tilde{x}_2\tilde{x}_3(\tilde{x}_2 - \tilde{x}_3), \tilde{x}_1\tilde{x}_2(\tilde{x}_1 - \tilde{x}_2)^2, \tilde{x}_1\tilde{x}_3(\tilde{x}_1 - \tilde{x}_3)^2, \tilde{x}_2\tilde{x}_3(\tilde{x}_2 - \tilde{x}_3)^2, \tilde{x}_1^2\tilde{x}_2\tilde{x}_3, \tilde{x}_1\tilde{x}_2^2\tilde{x}_3, \tilde{x}_1\tilde{x}_2\tilde{x}_3^2\|$$

არის ჩვენს მიერ განსახილველი პოლინომიალური მეოთხე რიგის რეგრესია სამკომპონენტური გეგმისთვის. ასეთი სახით გენერირებული გეგმისათვის განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი კრიტერიუმების მნიშვნელობების შესაბამისი სიმრავლე კვლევის იმ არეში, რომელიც განსაზღვრულია თვით სიმპლექსით.

სივრცის ამ არის სკანირების შედეგად, თანმიმდევრულად იქნა მიღებული წერტილების კოორდინატები ზადის თითოეულ „კვანძში“ (ნახ.40).




ნახ. 40. სამკომპონენტანი მეოთხე რიგის გეგმის არის სკანირების პრინციპი

ამ წერტილების კოორდინატების (2.4)–ში ან (2.5)–ში ჩასმის გზით განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი სივრცის მოცემულ წერტილებში გამოძახილის წინასწარმეტყველების დისპერსია. ზადის Δl მცირე ბიჯის დროს მიღებული იქნა მონაცემების მასივი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა გეგმების გამოსაკვლევი თვისებების შესახებ მსჯელობა. განვიხილოთ ცალ–ცალკე ამ ჯგუფის თვისებები – G- და Q-ოპტიმალურობა.

G-ოპტიმალურობა. G-ოპტიმალურად მიიჩნევა (3.12) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ საკვლევ სივრცეში წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის (d_{max}) მინიმიზაციას. ნახ. 41–ზე წარმოდგენილია მაქსიმალური დისპერსიის ცვლილების გრაფიკული რეზულტატი, რომელიც მიღებულია სხვადასხვა სიდიდის k ცდომილების ზედდებით სამკომპონენტანი სიმპლექს–გისოსური გეგმის მეორე რიგისათვის.

განსახილველი გეგმების G-ოპტიმალურობის თვისებაზე სხვადასხვა ცდომილების გავლენის კვლევისას მიღებული რიცხვითი მნიშვნელობები მოყვანილია 17–ე ცხრილში, სადაც წარმოდგენილია წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, ამ მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკული და ასევე საშუალო კვადრატული გადახრა ან გაზნევა.



ნახ. 41. სამკომპონენტანი მეოთხე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის G-ოპტიმალურობა ცდომილების არსებობისას

ცხრილი 17.

წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმუმის ცვლილება სამკომპონენტანი შეფუფეს გეგმის მეოთხე რიგისათვის სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	22.60814330	22.64018409	22.62575583	0.00690784
0.03	22.61848657	22.71318305	22.66417229	0.02064957
0.05	22.61308992	22.76982578	22.69554016	0.03464386
0.07	22.60241521	22.85300512	22.73486402	0.05482313
0.09	22.64208443	22.90756067	22.76251616	0.05711077
0.1	22.61337333	22.93833952	22.79088713	0.07015012
0.3	22.75336737	23.71055718	23.20523414	0.21235804
0.5	22.77080605	24.38684396	23.57107612	0.36563118
0.7	22.61064064	25.46819738	24.05289804	0.60636652
0.9	22.99396477	26.15561661	24.45324553	0.65543587
1.0	22.88479882	26.83376568	24.83079215	0.83006633
2.0	25.22063535	32.69642892	28.66679112	1.71836256
3.0	28.61766297	42.79944594	35.56471351	3.45442289
4.0	33.63729776	67.63882330	46.08357473	7.53944865
5.0	37.72575165	102.3680358	59.62195240	13.42759348
10	79.59824212	1.0e+004 *		
		6.98870475	0.31471250	0.95035988

მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ცდომილების გაზრდისას 0.01%-0.09%-მდე G-ოპტიმალურობის თვისება განსახილველი სამკომპონენტანი შეფუფეს გეგმის მეოთხე რიგისათვის გაუარესდა 0.60%-ით, ცდომილებების გაზრდისას 0.1%-დან 0.9%-მდე უარესდებოდა 7.29%-

ით. ცდომილების შემდგომში გაზრდის შედეგად მკვეთრად იზრდება აგრეთვე გაბნევა მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის.

Q-ოპტიმალურობა. Q-ოპტიმალურად მიიჩნევა (3.12) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ კვლევის გარკვეულ არეში წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის მინიმიზაციას. გამოსაკვლევი შეფუფეს სამკომპონენტანი მეოთხე რიგის გეგმების Q-ოპტიმალურობის თვისებაზე ცდომილების გავლენის შესწავლის შედეგად მიღებული რიცხვითი მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილში 18.

ცხრილი 18.

წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის ცვლილება სამკომპონენტანი შეფუფეს გეგმის მეოთხე რიგისათვის სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	16.14178246	16.14670942	16.14430703	0.00107803
0.03	16.13782360	16.15885583	16.14759479	0.00406777
0.05	16.14002074	16.16219490	16.15040327	0.00533963
0.07	16.13636056	16.17816136	16.15281320	0.00805151
0.09	16.13021555	16.18255964	16.15783693	0.01025336
0.1	16.13460832	16.18351805	16.15951214	0.01076870
0.3	16.11233592	16.31617726	16.20478898	0.04045390
0.5	16.15641845	16.37667896	16.25438344	0.05435580
0.7	16.12226931	16.56083968	16.31330684	0.08492337
0.9	16.10859964	16.70852905	16.41519192	0.10839402
1.0	16.24484871	16.78127288	16.46708667	0.11466243
2.0	16.21830669	17.84959574	17.19021600	0.31647428
3.0	17.06340381	19.88612676	18.43054253	0.62892231
4.0	17.29400803	23.22750069	20.09142526	1.11444956
5.0	18.71072174	27.36789368	22.39898485	1.85380905
	1.0e+003 *			
10	0.02871977	6.41658765	0.32380760	0.88630480

როგორც მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, ცდომილებების ცვლილებისას 0.01%-0.09%-იან შუალედში სამკომპონენტანი მეოთხე რიგის გეგმების Q-ოპტიმალურობა უარესდებოდა 0.08%-ით, 0.1%-0.9%-იან შუალედში უარესდებოდა 1.58%-ით, ხოლო 1%-5%-იან შუალედისათვის გაუარესება შეადგენდა 36.02%-ს.

თავი 4. ოთხკომპონენტური გეგმების გამოკვლევა

4.1. ოთხკომპონენტური პირველი რიგის გეგმა

ოთხკომპონენტური ნარევის პირველი რიგის გეგმას გააჩნია შემდეგი სახე:

$$X = \begin{bmatrix} \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 & \tilde{x}_3 & \tilde{x}_4 \\ 1 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 \end{bmatrix} \quad (4.1)$$

შესაბამისი რეგრესიის განტოლება:

$$\hat{y} = b_1x_1 + b_2x_2 + b_3x_3 + b_4x_4 \quad (4.2)$$

4.1.1. რეგრესიული განტოლების სიზუსტის შეფასებასთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა ოთხკომპონენტური პირველი რიგის გეგმისათვის

A-ოპტიმალურობა. 19-ე ცხრილში წარმოდგენილია ზოგიერთი საკვლევი ცდომილებისათვის კოვარიაციული მატრიცის კვალის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, რომლებიც მიღებულია ოთხკომპონენტური სიმპლექს-გისოსური გეგმის პირველი რიგის A-ოპტიმალურობაზე საზომი საშუალებების ცდომილებების გავლენის გამოკვლევისას, ასევე საშუალო არითმეტიკული მიღებული მნიშვნელობებიდან – დერეფნის საშუალო ხაზი და გაბნევა – საშუალო კვადრატული გადახრა.


ჩატარებული კვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ შეცდომების გაზრდით უარესდება განსახილველი გეგმის ოპტიმალურობის მახასიათებელი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ განსახილველ დიაპაზონში ცდომილებებისათვის 0.01-0.09%, A-ოპტიმალურობის თვისება უარესდება 0.13%-ით, მეორე დიაპაზონში, როცა ცდომილებები აღწევს 0.1-0.9%-ს, ოპტიმალურობა უარესდება 1.28%-ით, ხოლო მესამე დიაპაზონში 1%-5%-იანი ცდომილებებისათვის უარესდება 6.67%-ით.

ოთხკომპონენტიანი პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის კოვარიაციული მატრიცის კვალის ცვლილება სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	4.00013163	4.00121123	4.00064324	0.00023644
0.03	4.00051617	4.00422417	4.00179578	0.00076947
0.05	4.00136244	4.00720145	4.00297796	0.00108431
0.07	4.00072245	4.00807514	4.00447630	0.00168485
0.09	4.00221921	4.01107258	4.00565980	0.00205025
0.1	4.00131730	4.01214907	4.00644636	0.00237281
0.3	4.00516816	4.04280459	4.01807416	0.00778640
0.5	4.01367698	4.07328210	4.03009689	0.01105813
0.7	4.00724487	4.08323621	4.04546757	0.01732440
0.9	4.02232678	4.11443232	4.05771895	0.02121270
1.0	4.01327549	4.12529149	4.06589613	0.02459781
2.0	4.04079695	4.23881253	4.12868171	0.04849783
3.0	4.05233900	4.49334629	4.19337244	0.08824252
4.0	4.09279924	4.67153998	4.27173105	0.11511876
5.0	4.14224878	4.88615046	4.33724070	0.13696594
10	4.14385370	5.80877553	4.85103395	0.37700665

D-ოპტიმალურობა. ნახ. 42-ზე წარმოდგენილია შეცდომების მატრიცის მსაზღვრელის ცვლილებების გრაფიკული შედეგები, რომლებიც მიიღება სხვადასხვა სიდიდის k ცდომილებების ზედდებით ოთხი ცვლადის მქონე პირველი რიგის სიმპლექს-გისოსურ გეგმებთან მიახლოებულ გეგმებზე. როგორც ნახაზიდან ჩანს, ცდომილებების გაზრდით იზრდება აგრეთვე შეცდომების დერეფანი.



ნახ. 42. ოთხკომპონენტიანი პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის D-ოპტიმალურობა

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის მიხედვით D-ოპტიმალურობა ცდომილებების ზედდებით 0.01%-დან 0.09%-მდე უარესდება 0.5%-ით, მეორე 0.1-0.9%-იან დიაპაზონში კიდე უფრო იზრდება და შეადგენს 5.19%-ს, ხოლო მესამე დიაპაზონში საზომი საშუალებების ცდომილებების გაზრდით 1%-5%-მდე საკვლევი გეგმის თვისება უკვე უარესდება 28.47%-ით.

E-ოპტიმალურობა. ოთხკომპონენტური პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმების E-ოპტიმალურობაზე ცდომილებების გავლენის კვლევისას შეცდომების დერეფანი მიიღებოდა ყველა საკვლევი ცდომილებისათვის ასჯერ შემთხვევითი სახით გენერირებული გეგმიდან თითოეულისათვის უმცირესი მაქსიმალური საკუთარი რიცხვიდან λ (მახასიათებელი რიცხვი) მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობების ამორჩევით.

მე-20 ცხრილში მოცემულია მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ უმცირესი მაქსიმალური საკუთარი რიცხვის (λ_{max}) ცვლილებას ცდომილებების განსახილველ დიაპაზონში სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას.

ცხრილი 20.

ოთხკომპონენტური პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის ცვლილება სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	1.00017017	1.00067324	1.00038946	0.00012714
0.03	1.00029914	1.00246062	1.00105479	0.00043575
0.05	1.00071323	1.00362635	1.00176768	0.00062190
0.07	1.00050553	1.00572503	1.00256518	0.00101745
0.09	1.00102214	1.00627517	1.00326932	0.00114462
0.1	1.00087915	1.00666786	1.00366337	0.00129625
0.3	1.00205429	1.02501290	1.01062082	0.00444087
0.5	1.00688052	1.03714135	1.01791665	0.00638044
0.7	1.00539372	1.05948099	1.02616034	0.01057910
0.9	1.01019958	1.06546777	1.03350746	0.01200088
1.0	1.00859083	1.06969007	1.03765504	0.01363951
2.0	1.02181409	1.16395698	1.07545127	0.02876444
3.0	1.02080518	1.29805281	1.11571860	0.05230203
4.0	1.05602621	1.38098592	1.16008885	0.06888916
5.0	1.07209092	1.48429645	1.20647522	0.08506495
10	1.09107373	2.19792951	1.52048085	0.24498582

როგორც გვიჩვენა მონაცემების ანალიზმა, უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის გაბნევა ცდომილებების გაზრდის შედეგად შესაბამისად იზრდება. ასე მაგალითად, თუ 0.01%–09%-იანი ცდომილების ზედდებისას იგი წარმოადგენს 0.29%-ს, 0.1%–0.9% ცდომილების ზედდებისას უკვე აღწევს 2.97%-ს, ხოლო მესამე დიაპაზონში 1%-5%-იანი ცდომილების დროს უარესდება 16.27%-ით.

4.1.2. აგებული მოდელის საშუალებით გამოძახილის მნიშვნელობის წინასწარმეტყველების სიზუსტესთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა ოთხკომპონენტური პირველი რიგის გეგმისათვის

ამ პუნქტში განხილულია ოთხკომპონენტური პირველი რიგის სიმპლექს–გისოსური გეგმის ის თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია გამოძახილის მნიშვნელობების ნაწინასწარმეტყველები სიზუსტით აგებული მოდელის (4.1) მეშვეობით, როგორცაა G- ოპტიმალურობა, რომელიც უზრუნველყოფს წინასწარმეტყველების მაქსიმალურად შესაძლო დისპერსიის მინიმიზაციას კვლევის განსაზღვრულ არეში და Q- ოპტიმალურობა, რომლის საშუალებითაც ხდება წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის მინიმიზაცია.

ასეთი გეგმებისათვის აგებულ მოდელს გააჩნია (4.1) სახე. ზოგად შემთხვევაში წინასწარმეტყველების მნიშვნელობის დისპერსია გამოითვლება (3.4) და (3.5) ფორმულით, სადაც


$$\mathbf{f}^T(\mathbf{x}) = \|\tilde{x}_1, \tilde{x}_2, \tilde{x}_3, \tilde{x}_4\|$$

არის ჩვენს მიერ განსახილველი პოლინომიალური პირველი რიგის რეგრესია ოთხკომპონენტური გეგმისთვის.

ექსპერიმენტის შეცდომების პირობებში ოთხკომპონენტური პირველი რიგის გეგმისათვის ზემოხსენებული თვისების გამოსაკვლევად ხორციელდება საზომი საშუალებების ცდომილებების გავლენის იმიტაცია გეგმის წერტილების კოორდინატებზე შემთხვევითი რიცხვების ზედდებით,

რომლებიც განაწილებული არიან ნორმალური კანონით. ამ რიცხვების ფორმირება განხორციელდა სტანდარტული პროგრამის საშუალებით შემთხვევითი რიცხვების ε გენერირებით.

ასეთი სახით გენერირებული გეგმისათვის განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი კრიტერიუმების მნიშვნელობების შესაბამისი სიმრავლე კვლევის იმ არეში, რომელიც განსაზღვრულია თვით სიმპლექსით. სივრცის ამ არის სკანირების შედეგად, თანმიმდევრულად იქნა მიღებული წერტილების კოორდინატები ბადის თითოეულ „კვანძში“ (ნახ.43).



ნახ. 43. ოთხკომპონენტური პირველი რიგის გეგმის არის სკანირების პრინციპი

ამ წერტილების კოორდინატების (3.4)–ში და (3.5)–ში ჩასმის გზით განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი სივრცის მოცემულ წერტილებში გამოძახილის წინასწარმეტყველების დისპერსია. ბადის Δl მცირე ბიჯის დროს მიღებული იქნა მონაცემების მასივი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა გეგმების გამოსაკვლევი თვისებების შესახებ მსჯელობა.

საზომი საშუალებების ცდომილების არსებობის გამო იცვლებოდა განსახილველი გეგმის კოორდინატები, რამაც გამოიწვია, თავის მხრივ, კოვარიაციული მატრიცის ცვლილება $M^{-1} = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$, სადაც \tilde{X} – დაგეგმვის მატრიცაა. განვიხილოთ ცალ–ცალკე ამ ჯგუფის თვისებები – G- და Q- ოპტიმალურობა.

G-ოპტიმალურობა. G-ოპტიმალურად მიიჩნევა (4.1) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ საკვლევ სივრცეში წინასწარმეტყველების მაქსიმალური

დისპერსიის (dmax) მინიმიზაციას. განსახილველი გეგმის G-ოპტი-
 მალურობის თვისებაზე სხვადასხვა ცდომილების გავლენის კვლევისას
 მიღებული რიცხვითი მნიშვნელობები მოცემულია 21-ე ცხრილში, სადაც
 წარმოდგენილია წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინი-
 მალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, ამ მნიშვნელობების საშუალო
 არითმეტიკული და ასევე საშუალო კვადრატული გადახრა ან გაბნევა.

ცხრილი 21.


წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმუმის ცვლილება
 ოთხკომპონენტური შეფუთვით გეგმის პირველი რიგისათვის სხვადასხვა
 ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	4.00028158	4.00232351	4.00115662	0.00041827
0.03	4.00066237	4.00884184	4.00330449	0.00143228
0.05	4.00220161	4.01264112	4.00564655	0.00209930
0.07	4.00176993	4.02079085	4.00800149	0.00335051
0.09	4.00281120	4.02099596	4.01029958	0.00392145
0.1	4.00281745	4.02334342	4.01159818	0.00420334
0.3	4.00663260	4.08996775	4.03332199	0.01455704
0.5	4.02211882	4.12973347	4.05724049	0.02157264
0.7	4.01776830	4.21656499	4.08164910	0.03484676
0.9	4.02829860	4.21912861	4.10561878	0.04112546
1.0	4.02833787	4.24474608	4.11927416	0.04418208
2.0	4.06498782	4.56525237	4.23774763	0.09755033
3.0	4.06723125	5.08342835	4.36365552	0.17273317
4.0	4.16572827	5.16314942	4.51139941	0.21548518
5.0	4.23193452	5.72754323	4.66277005	0.28946728
10	4.30067224	8.35227570	5.65388778	0.78868501

მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ცდომილების
 გაზრდისას 0.01%-დან 0.09%-მდე G-ოპტიმალურობის თვისება განსა-
 ხილველი ოთხკომპონენტური შეფუთვით გეგმის პირველი რიგისათვის
 გაუარესდა 0.23%-ით, ცდომილებების გაზრდისას 0.1%-დან 0.9%-მდე
 უარესდებოდა 2.34%-ით, ხოლო ცდომილებების გაზრდით 1%-დან 5%-მდე
 საკვლევი თვისება უარესდებოდა 13.19%-ით.

Q-ოპტიმალურობა. Q-ოპტიმალურად მიიჩნევა (4.1) ტიპის გეგმები,
 რომლებიც ახდენენ კვლევის გარკვეულ არეში წინასწარმეტყველების
 საშუალო დისპერსიის მინიმიზაციას. ნახ. 44-ზე წარმოდგენილია შეცდომე-

ბის დერეფანი, რომელიც მიიღებოდა შეფუფეს ოთხკომპონენტანი პირველი რიგის გეგმების Q-ოპტიმალურობაზე ცდომილებების გავლენის კვლევისას.



ნახ. 44. ოთხკომპონენტანი პირველი რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის Q-ოპტიმალურობა

როგორც გვიჩვენა მიღებული მონაცემების ანალიზმა, ცდომილების გაზრდისას იზრდება შეცდომების დერეფანი, კერძოდ, ცდომილებების ცვლილებისას 0.01%-0.09%-იან შუალედში განსახილველი გეგმის Q-ოპტიმალურობა უარესდებოდა 0.08%-ით, 0.1%-0.9%-იან შუალედში უარესდებოდა 0.78%-ით, ხოლო 1%-5%-იან შუალედისათვის გაუარესება შეადგენდა 4.17%-ს.

4.2. ოთხკომპონენტანი მეორე რიგის გეგმა

ოთხკომპონენტანი ნარევის მეორე რიგის გეგმას გააჩნია შემდეგი

სახე:


$$\mathbf{X} = \begin{matrix} & \begin{matrix} \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 & \tilde{x}_3 & \tilde{x}_4 \end{matrix} \\ \begin{bmatrix} 1 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 \\ 1/2 & 1/2 & 0 & 0 \\ 1/2 & 0 & 1/2 & 0 \\ 1/2 & 0 & 0 & 1/2 \\ 0 & 1/2 & 1/2 & 0 \\ 0 & 1/2 & 0 & 1/2 \\ 0 & 0 & 1/2 & 1/2 \end{bmatrix} & \end{matrix} \quad (4.3)$$

შესაბამისი რეგრესიის განტოლება:

$$\hat{y} = b_1x_1 + b_2x_2 + b_3x_3 + b_4x_4 + b_{12}x_1x_2 + b_{13}x_1x_3 + b_{14}x_1x_4 + b_{23}x_2x_3 + b_{24}x_2x_4 + b_{34}x_3x_4 \quad (4.4)$$

4.2.1. რეგრესიული განტოლების სიზუსტის შეფასებასთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა ოთხკომპონენტური მეორე რიგის გეგმისათვის

A-ოპტიმალურობა. ნახ. 45-ზე ნაჩვენებია შეცდომების დერეფნის გრაფიკული ილუსტრაცია, რომელიც მიიღებოდა ოთხკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსურ გეგმასთან მაქსიმალურად მიახლოებული სიმეტრიული კოვარიაციული მატრიცის $M^{-1} = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$ კვალის კვლევისას. როგორც ნახაზიდან ჩანს, ცდომილების გაზრდით შეცდომების დერეფანი იზრდება.



ნახ. 45. ოთხკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის A-ოპტიმალურობა

22-ე ცხრილში წარმოდგენილია მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, რომლებიც მიღებულია ოთხკომპონენტური სიმპლექს-გისოსური გეგმის მეორე რიგის A-ოპტიმალურობაზე საზომი საშუალებების ცდომილებების გავლენის გამოკვლევისას, ასევე საშუალო არითმეტიკული მიღებული მნიშვნელობებიდან – დერეფნის საშუალო ხაზი და საშუალო კვადრატული გადახრა.

ოთხკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის კოვარიაციული მატრიცის კვალის ცვლილება სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	148.05261354	148.14234063	148.09346318	0.01933605
0.03	148.15347687	148.48069608	148.28595687	0.05762806
0.05	148.29358608	148.78960906	148.47278469	0.10290127
0.07	148.35590566	149.06925130	148.66016712	0.13750432
0.09	148.44414991	149.28666710	148.84864724	0.17587202
0.1	148.53139470	149.43535152	148.94409158	0.19521377
0.3	149.59891765	152.99566232	150.95021975	0.59317869
0.5	151.06568551	156.33597710	152.99232973	1.08559807
0.7	151.89649694	159.85131877	155.09514835	1.49025127
0.9	152.60383401	162.44784402	157.36270261	2.00632799
1.0	153.87132176	163.64767578	158.46724582	2.18044728
2.0	161.05333663	192.05416157	172.01362032	6.04452682
3.0	171.83603046	225.44270942	189.62384849	9.32002018
4.0	182.17358889	264.17866272	213.54489394	18.0492220
5.0	196.37040167	360.36305438	248.22964757	34.4888467
	1.0e+007 *			
10	0.00002957	5.12114600	0.05146709	0.51208905


მიღებული მონაცემებიდან ჩანს, რომ განსახილველი გეგმის ოპტიმალურობის მახასიათებელი ცდომილების გაზრდით უარესდება.

საზომი საშუალების 0.01–0.09%-მდე ცდომილების დროს A-ოპტიმალურობა უარესდება 0.51%-ით, მეორე დიაპაზონში ცდომილების 0.1%-დან 0.9%-მდე გაზრდა იწვევს 5.65%-იან ცვლილებას, ხოლო მესამე განსახილველ დიაპაზონში A-ოპტიმალურობის თვისება მკვეთრად უარესდება. ეს ჩანს მონაცემებიდანაც, რომლებიც წარმოდგენილია საშუალო კვადრატული გადახრის სვეტში.

D-ოპტიმალურობა. ნახ. 46-ზე წარმოდგენილია $M^{-1} = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$ შეცდომების მატრიცის მსაზღვრელის ცვლილებების გრაფიკული შედეგები, რომლებიც მიიღება სხვადასხვა სიდიდის k ცდომილებების ზედდებით ოთხი ცვლადის მქონე მეორე რიგის სიმპლექს-გისოსურ გეგმებთან მიახლოებულ გეგმებზე. როგორც ნახაზიდან ჩანს, ცდომილებების გაზრდით იზრდება აგრეთვე შეცდომების დერეფანი.

მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ განსახილველი გეგმის D-ოპტიმალურობის თვისება ცდომილებების ზედდებით უარესდება.

საზომი საშუალებების 0.01%-დან 0.09%-მდე ცდომილების პირობებში D-ოპტიმალურობა უარესდება 4.74%-ით, ხოლო საზომი საშუალებების ცდომილების შემდგომში გაზრდის შედეგად მკვეთრად იზრდება, აგრეთვე, გაზრდა მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის. ასე მაგალითად, თუ 0.1%-იან ცდომილებაზე გაზრდა შეადგენდა 0.01891489, უკვე 1%-იან ცდომილებაზე სიდიდე აღწევს 0.00332373-ს.



ნახ. 46. ოთხკომპონენტანი მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის D-ოპტიმალურობა

E-ოპტიმალურობა. მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ უმცირესი მაქსიმალური საკუთარი რიცხვის (λ_{max}) ცვლილებას ცდომილებების განსახილველ დიაპაზონში სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას მოცემულია 23-ე ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის გაზრდა ცდომილებების გაზრდის შედეგად შესაბამისად იზრდება. ასე მაგალითად, თუ 0.01%-0.09%-იანი ცდომილების ზედდებისას იგი წარმოადგენს 0.03%, 0.1%-0.9%-იანი ცდომილების ზედდებისას აღწევს 0.36%, ხოლო მესამე დიაპაზონში ცდომილების შემდგომი გაზრდის შედეგად მკვეთრად იზრდება, აგრეთვე გაზრდა მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის.

ოთხკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის ცვლილება სხვადასხვა ცდომილების ზედღებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	40.58063416	40.63826352	40.60446029	0.01073006
0.03	40.53080983	40.71688144	40.61091962	0.03585280
0.05	40.49621091	40.73830308	40.61026417	0.05540423
0.07	40.40117868	40.81834615	40.60747657	0.07859543
0.09	40.41050290	40.86617538	40.61599720	0.09892805
0.1	40.35997093	40.84816167	40.62453510	0.11517903
0.3	39.85366170	41.76015328	40.64467142	0.38240895
0.5	39.29780999	42.80433869	40.61250391	0.66286844
0.7	39.19628584	42.70954501	40.78993445	0.78895176
0.9	38.54117712	43.40294050	40.76976951	1.04108921
1.0	38.56428441	43.84882116	40.96309528	1.14100495
2.0	37.55241315	49.02499438	42.09404432	2.59803880
3.0	35.79861999	61.37840037	44.33813571	3.82703674
4.0	38.22438569	93.51415534	50.51019412	8.09009227
5.0	38.88541907	117.2102674	61.81596724	13.5490295
	1.0e+007 *			
10	0.00000833	5.12106886	0.05142384	0.51208562

ორთოგონალურობა. ოთხკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს – გისოსური გეგმის ორთოგონალურობის თვისებაზე ცდომილებების გავლენის კვლევისას გაზომვის საშუალებების სხვადასხვა ცდომილებისას მიღებული რიცხვითი შედეგები მოცემულია 24-ე ცხრილში.

ცხრილში მოცემული მონაცემების შესაბამისად ოთხკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ორთოგონალურობა ცდომილების თითოეულ განსახილველ დიაპაზონში ცდომილების გაზრდით უარესდება.

0.01%-0.09%-იან ცდომილების დიაპაზონში განსახილველი თვისების გაუარესება შეადგენს 0.06%-ს, მეორე 0.1%-0.9%-იან დიაპაზონში კიდევ უფრო იზრდება და შეადგენს 0.99%-ს, ხოლო მესამე დიაპაზონში საზომი საშუალებების ცდომილებების გაზრდით 1%-5%-მდე საკვლევი გეგმის თვისება უკვე უარესდება 23.45%-ით.

ოთხკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის კოვარიაციული მატრიცის არადიაგონალური ელემენტების აბსოლუტური მნიშვნელობების ჯამების მინიმუმების ცვლილება

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	143.87583262	144.03678410	143.96647055	0.05333072
0.03	143.48841225	144.13763880	143.85764754	0.21017771
0.05	143.17103339	144.42489587	143.83340825	0.34806071
0.07	143.25240309	144.82263423	143.84320923	0.47619427
0.09	142.93924260	145.12078289	144.05366353	0.75922836
0.1	143.01780899	144.73195046	143.75347353	0.52148084
0.3	141.72659463	144.57566350	142.76916914	0.93686542
0.5	135.87717853	145.99665061	140.99900427	3.28701086
0.7	137.52434974	148.36756907	142.71305949	3.54674684
0.9	139.50285911	161.99718601	145.17943399	6.63125688
1.0	131.74665577	151.74746082	140.62156395	5.34642479
2.0	108.75973276	145.03556651	130.14381267	10.67961732
3.0	93.58239243	199.14926831	135.44991861	23.74639667
4.0	86.39191301	290.98068922	157.28778437	44.44193266
5.0	118.58388045	271.79054541	173.59668979	41.29166592
10	1.0e+006 *			
	0.00015629	157.77869007	1.58159831	15.77748622

4.2.2. აგებული მოდელის საშუალებით გამოძახილის მნიშვნელობის წინასწარმეტყველების სიზუსტესთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა ოთხკომპონენტური მეორე რიგის გეგმისათვის

ამ პუნქტში განხილულია ოთხკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ის თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია გამოძახილის მნიშვნელობების წინასწარმეტყველები სიზუსტით აგებული მოდელის (4.4) მეშვეობით, როგორცაა G- და Q-ოპტიმალურობები.

ასეთი გეგმებისათვის აგებულ მოდელს გააჩნია (4.4) სახე. ზოგად შემთხვევაში წინასწარმეტყველების მნიშვნელობის დისპერსია გამოითვლება (3.4) და (3.5) ფორმულით, სადაც


$$\mathbf{f}^T(\mathbf{x}) = \|\tilde{x}_1, \tilde{x}_2, \tilde{x}_3, \tilde{x}_4, \tilde{x}_1\tilde{x}_2, \tilde{x}_1\tilde{x}_3, \tilde{x}_1\tilde{x}_4, \tilde{x}_2\tilde{x}_3, \tilde{x}_2\tilde{x}_4, \tilde{x}_3\tilde{x}_4\|$$

არის ჩვენს მიერ განსახილველი პოლინომიალური მეორე რიგის რეგრესია ოთხკომპონენტური გეგმისთვის.

ასეთი სახით გენერირებული გეგმისათვის განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი კრიტერიუმების მნიშვნელობების შესაბამისი სიმრავლე კვლევის იმ არეში, რომელიც განსაზღვრულია თვით სიმპლექსით.

სივრცის ამ არის სკანირების შედეგად, თანმიმდევრულად იქნა მიღებული წერტილების კოორდინატები ბადის თითოეულ „კვანძში“ (ნახ.47).

ამ წერტილების კოორდინატების (3.4)-ში და (3.5)-ში ჩასმის გზით განსაზღვრული იქნა გამოსაკვლევი სივრცის მოცემულ წერტილებში გამოძახილის წინასწარმეტყველების დისპერსია. ბადის Δl მცირე ბიჯის დროს მიღებული იქნა მონაცემების მასივი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა გეგმების გამოსაკვლევი თვისებების შესახებ მსჯელობა. განვიხილოთ ცალ-ცალკე ამ ჯგუფის თვისებები – G- და Q-ოპტიმალურობა.




ნახ. 47. ოთხკომპონენტური მეორე რიგის გეგმის არის სკანირების პრინციპი

G-ოპტიმალურობა. G-ოპტიმალურად მიიჩნევა (4.3) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ საკვლევ სივრცეში წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის (d_{max}) მინიმიზაციას.

ნახ. 48-ზე წარმოდგენილია მაქსიმალური დისპერსიის ცვლილების გრაფიკული რეზულტატი, რომელიც მიღებულია სხვადასხვა სიდიდის k ცდომილების ზედდებით ოთხკომპონენტური სიმპლექს-გისოსური გეგმის მეორე რიგისათვის.

როგორც მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, ცდომილების გაზრდისას 0.01%-0.09%-მდე G-ოპტიმალურობის თვისება განსახილველი ოთხკომპონენტური შეფუთვების მეორე რიგისათვის გაუარესდა 0.97%-ით, ცდომილებების გაზრდისას 0.1%-დან 0.9%-მდე უარესდებოდა 11.12%-ით, მესამე განსახილველ დიაპაზონში G-ოპტიმალურობის თვისება მკვეთრად უარესდება. მაგალითად თუ 1%-იან ცდომილებაზე გაბნევა შეადგენდა 0.37040601, უკვე 5%-იან ცდომილებაზე სიდიდე აღწევს 10.8391328.



ნახ. 48. ოთხკომპონენტური მეორე რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის G-ოპტიმალურობა ცდომილების არსებობისას

Q-ოპტიმალურობა. Q-ოპტიმალურად მიიჩნევა (4.3) ტიპის გეგმები, რომლებიც ახდენენ კვლევის გარკვეულ არეში წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის მინიმიზაციას.

გამოსაკვლევი გეგმების Q-ოპტიმალურობის თვისებაზე ცდომილების გავლენის შესწავლის შედეგად მიღებული რიცხვითი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 25.

როგორც გვიჩვენა მიღებული მონაცემების ანალიზმა, საზომი საშუალებების ცდომილებების გაზრდისას 0.01%-0.09%-იან შუალედში განსახილველი ოთხკომპონენტური შეფუთვების მეორე რიგისათვის Q-ოპტიმალურობა უარესდებოდა 0.18%-ით, 0.1%-0.9%-იან შუალედში უარესდებოდა 2.29%-ით, ხოლო 1%-5%-იან შუალედისათვის გაუარესება შეადგენდა 34.47%-ს.

წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის ცვლილება ოთხკომპონენტური შეფუთვის გეგმის მეორე რიგისათვის სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	5.97375241	5.97488066	5.97428612	0.00025556
0.03	5.97535368	5.97948619	5.97697811	0.00073144
0.05	5.97714655	5.98338232	5.97962674	0.00130754
0.07	5.97845425	5.98759782	5.98224250	0.00179175
0.09	5.97907169	5.99097619	5.98497006	0.00236012
0.1	5.98079210	5.99217654	5.98625995	0.00261812
0.3	5.99930829	6.04311609	6.01602919	0.00784920
0.5	6.02058127	6.08750970	6.04872949	0.01480096
0.7	6.03429237	6.15358071	6.08244649	0.02210764
0.9	6.03875780	6.20972572	6.12333956	0.03336726
1.0	6.06843903	6.21438552	6.14079673	0.03542409
2.0	6.18178472	6.80755776	6.40721393	0.11141805
3.0	6.46678765	7.43636301	6.78969987	0.20589815
4.0	6.53897942	8.52992783	7.35985778	0.44253119
5.0	6.81576003	11.75095535	8.25723290	0.91270026
10	8.62117704	1.0e+005 *		
		13.53726230	0.13614611	1.35364911

4.3. ოთხკომპონენტური არასრული კუბური რიგის გეგმა

ოთხკომპონენტური ნარევის არასრული კუბური რიგის გეგმას გააჩნია

შემდეგი სახე:

$$\mathbf{X} = \begin{bmatrix} \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 & \tilde{x}_3 & \tilde{x}_4 \\ 1 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 \\ 1/2 & 1/2 & 0 & 0 \\ 1/2 & 0 & 1/2 & 0 \\ 1/2 & 0 & 0 & 1/2 \\ 0 & 1/2 & 1/2 & 0 \\ 0 & 1/2 & 0 & 1/2 \\ 0 & 0 & 1/2 & 1/2 \\ 1/3 & 1/3 & 1/3 & 0 \\ 1/3 & 1/3 & 0 & 1/3 \\ 0 & 1/3 & 1/3 & 1/3 \\ 1/3 & 0 & 1/3 & 1/3 \end{bmatrix} \quad (4.5)$$

შესაბამისი რეგრესიის განტოლება:

$$\hat{y} = b_1x_1 + b_2x_2 + b_3x_3 + b_4x_4 + b_{12}x_1x_2 + b_{13}x_1x_3 + b_{14}x_1x_4 + b_{23}x_2x_3 + b_{24}x_2x_4 + b_{34}x_3x_4 + b_{123}x_1x_2x_3 + b_{124}x_1x_2x_4 + b_{134}x_1x_3x_4 + b_{234}x_2x_3x_4 \quad (4.6)$$

4.3.1. რეგრესიული განტოლების სიზუსტის შეფასებასთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა ოთხკომპონენტიანი არასრული კუბური რიგის გეგმისათვის

A-ოპტიმალურობა. 26-ე ცხრილში წარმოდგენილია ოთხკომპონენტიანი სიმპლექს-გისოსური გეგმების არასრული კუბური რიგისათვის ზოგიერთი საკვლევი ცდომილებისათვის $M^{-1} = (\tilde{X}^T \tilde{X})^{-1}$ კოვარიაციული მატრიცის კვალის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, ასევე მათი საშუალო არითმეტიკული და გაბნევა – საშუალო კვადრატული გადახრა.

ცხრილი 26.

ოთხკომპონენტიანი არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის კოვარიაციული მატრიცის კვალის ცვლილება სხვადასხვა ცდომილების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
	1.0e+003 *			
0.01	4.90484207	4.91298523	4.90877234	0.00177168
0.03	4.91214843	4.93667239	4.92562559	0.00493928
0.05	4.92587863	4.97046737	4.94714034	0.00961432
0.07	4.93767913	4.99926562	4.96410518	0.01117672
0.09	4.94289693	5.02716280	4.98276332	0.01686194
	1.0e+003 *			
0.1	4.94918382	5.03279910	4.98900737	0.01811819
0.3	5.03097862	5.28441300	5.16750405	0.05251859
0.5	5.18292040	5.67859646	5.40957840	0.10801351
0.7	5.30571249	6.05823264	5.61434877	0.13354492
0.9	5.37191813	6.43726409	5.85304880	0.21073809
	1.0e+005 *			
1.0	0.05478003	0.06600299	0.05939544	0.00232668
2.0	0.06308879	0.09150293	0.07505222	0.00641415
3.0	0.07247568	0.13517005	0.09464242	0.01275349
4.0	0.08310350	0.30331904	0.13381330	0.03611388
5.0	0.11415023	1.92308318	0.28106533	0.24737115
	1.0e+008 *			
10	0.00015319	8.23897875	0.09607156	0.82532389

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ განსახილველ დიაპაზონში ცდომილებებისათვის 0.01-0.09% A-ოპტიმალურობის თვისება უარესდება 1.51%-ით, მეორე დიაპაზონში, როცა ცდომილებები აღწევს 0.1%-0.9%-ს, უარესდება 17.32%-ით, ხოლო ცდომილების შემდგომი გაზრდის შედეგად განსახილველი თვისება კიდევ უფრო მკვეთრად უარესდება.

D-ოპტიმალურობა. 27-ე ცხრილში ნაჩვენებია მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, რომლებიც მიღებულია არასრული კუბური რიგის ოთხკომპონენტური სიმპლექს-გისოსური გეგმებზე საზომი საშუალებების მახასიათებელი ცდომილებების გავლენის კვლევისას, ასევე საშუალო არითმეტიკული მიღებული მნიშვნელობებიდან – დერეფნის საშუალო ხაზი და გაბნევა-საშუალო კვადრატული გადახრა.


ცხრილი 27.

ოთხკომპონენტური არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის კოვარიაციული მატრიცის მინიმალური მსაზღვრელის ცვლილება სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას

ცდომილება k, %	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
	1.0e+018 *			
0.01	4.77719616	4.82787339	4.80182368	0.01130079
0.03	4.86103631	5.00025813	4.92825395	0.03463581
0.05	4.95034378	5.25074241	5.08596979	0.06446647
0.07	5.01681462	5.46446896	5.22004657	0.08169360
0.09	5.04025676	5.77415931	5.37031068	0.12500678
	1.0e+019 *			
0.1	0.51766061	0.57140846	0.54058997	0.01501704
0.3	0.64448230	0.77350604	0.70937855	0.05022542
0.5	0.88895716	1.13982997	0.97978173	0.08151165
0.7	0.91769095	1.55973545	1.19947155	0.17738362
0.9	1.15639026	1.82378860	1.35859712	0.20166863
	1.0e+024 *			
1.0	0.00001101	0.00003445	0.00001944	0.00000492
2.0	0.00002792	0.00044220	0.00010193	0.00006338
3.0	0.00007828	0.00273487	0.00056218	0.00053615
4.0	0.00017635	0.07167608	0.00501153	0.00945486
5.0	0.00094923	7.43100775	0.29545366	1.01258471
	1.0e+029 *			
10	0.00000007	2.57166855	0.02947461	0.25798181

როგორც ვიხილავთ კვლევის შედეგებში, ცდომილების გაზრდისას იზრდება აგრეთვე შეცდომების დერეფანი. ოთხკომპონენტური სიმპლექს-გისოსური გეგმების არასრული კუბური რიგისათვის D-ოპტიმალურობა ცდომილებების ზედდებით 0.01%-დან 0.1%-მდე უარესდება 11.84%-ით, ხოლო მესამე განსახილველ დიაპაზონში D-ოპტიმალურობის თვისება მკვეთრად უარესდება, მკვეთრად იზრდება აგრეთვე გაბნევა მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის.

E-ოპტიმალურობა. ოთხკომპონენტანი არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმების E-ოპტიმალურობაზე ცდომილებების გავლენის კვლევისას მიღებული შედეგების გრაფიკული გამოსახულება წარმოდგენილია ნახ. 49-ზე.




ნახ. 49. ოთხკომპონენტანი არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის E-ოპტიმალურობა

ჩატარებული კვლევის ანალიზის შესაბამისად განსახილველი გეგმის უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის გაბნევა ცდომილებების გაზრდის შედეგად შესაბამისად იზრდება. ასე მაგალითად, თუ 0.01%-0.09%-იანი ცდომილების ზედდებისას იგი წარმოადგენს 1.47%-ს, მეორე 0.1%-0.9%-იან დიაპაზონში კიდევ უფრო იზრდება და აღწევს 17.82%-ს, ხოლო მესამე განსახილველ დიაპაზონში E-ოპტიმალურობის თვისება მკვეთრად უარესდება.

ორთოგონალურობა. ოთხკომპონენტანი არასრული კუბური რიგის სიმპლექს - გისოსური გეგმის ორთოგონალურობის თვისებაზე ცდომილებების გავლენის კვლევისას გაზომვის საშუალებების სხვადასხვა ცდომილებისას მიღებული გრაფიკული შედეგები წარმოდგენილია ნახ. 50-ზე.

მონაცემების ანალიზის შესაბამისად ოთხკომპონენტანი არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ორთოგონალურობა ცდომილების თითოეულ განსახილველ დიაპაზონში ცდომილების

გაზრდით უარესდება. 0.01%-0.09%-იან ცდომილების დიაპაზონში განსახილველი თვისების გაუარესება შეადგენს 1.71%-ს, 0.1%-0.9%-იან დიაპაზონში აღწევს 19.89%-ს, ცდომილებების შემდგომი გაზრდის შედეგად მკვეთრად იზრდება აგრეთვე გაბნევა მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის, მაგალითად თუ 1%-იან ცდომილებაზე გაბნევა შეადგენდა 0.19529850, უკვე 5%-იან ცდომილებაზე სიდიდე აღწევს 3.28590201.




ნახ. 50. ოთხკომპონენტიანი არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ორთოგონალურობა

4.3.2. აგებული მოდელის საშუალებით გამოძახილის მნიშვნელობის წინასწარმეტყველების სიზუსტესთან დაკავშირებული თვისებების გამოკვლევა ოთხკომპონენტიანი არასრული კუბური რიგის გეგმისათვის

ამ პუნქტში განხილულია ოთხკომპონენტიანი არასრული კუბური რიგის სიმპლექს-გისოსური გეგმის ის თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია გამოძახილის მნიშვნელობების წინასწარმეტყველები სიზუსტით აგებული მოდელის (4.6) მეშვეობით, როგორცაა G- და Q- ოპტიმალურობები. ასეთი გეგმებისათვის აგებულ მოდელს გააჩნია (4.6) სახე. ზოგად შემთხვევაში წინასწარმეტყველების მნიშვნელობის დისპერსია გამოითვლება (3.4) და (3.5) ფორმულით, სადაც

$$\mathbf{f}^T(\mathbf{x}) = \|\tilde{x}_1, \tilde{x}_2, \tilde{x}_3, \tilde{x}_4, \tilde{x}_1\tilde{x}_2, \tilde{x}_1\tilde{x}_3, \tilde{x}_1\tilde{x}_4, \tilde{x}_2\tilde{x}_3, \tilde{x}_2\tilde{x}_4, \tilde{x}_3\tilde{x}_4, \\ \tilde{x}_1\tilde{x}_2\tilde{x}_3, \tilde{x}_1\tilde{x}_2\tilde{x}_4, \tilde{x}_1\tilde{x}_3\tilde{x}_4, \tilde{x}_2\tilde{x}_3\tilde{x}_4\|$$

